პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 36 (13430) | შაბათი, 12 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

# თბილისის XXXII საქალაქო პარტიული კონფერენცია

11 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის XXXII საქალაქო პარტიული კონფერენცია.

დელეგატებმა აირჩიეს კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები — საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო კომისია.

კონფერენციის საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ი. ა. შევარდნაძე, ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. გ. აბაშიძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ს. ვაშაკიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე მ. ა. გოგიჩაიშვილი, „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს უფროსი ვ. დ. გოცირიძე, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. კ. გურული, მუშა, სოციალისტური შრომის გმირი კ. ვ. ილურიძე, ძველი ბოლშევიკები ს. ა. ქავთარაძე, ი. ს. ფრანგულიანი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი გ. ი. ქადაგიძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" მრთველი ვ. ა. სობოლევა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი თ. პ. სტეპჩენკო, პარტიის რაიკომების მდივნები, საწარმოთა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში.
2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა;

ბ) სარევიზიო კომისიისა;

გ) საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატებისა. დამტკიცდა აგრეთვე კონფერენციის მუშაობის რეგლამენტი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა პარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივანს ო. ი. ლოლაშვილს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში წაიკითხა ამ კომისიის თავმჯდომარემ ს. მ. მიქაძემ.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ი. მოსაშვილმა, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. კ. გურულმა, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა ი. მ. ბუაჩიძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნ. ვ. გურემიძემ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიტსამმართველოს უფროსმა თ. პ. სტეპჩენკომ, № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა ლ. ქ. დეკანოსიძემ, კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ, „მთავართბილისმშენის" უფროსმა გ. ს. შენგელიამ, კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" დირექტორმა მ. პ. ბაბუნაშვილმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ზ. ბარსუკოვმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა გ. ა. მელიქიშვილმა, ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. ს. მეზრელიშვილმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ დ. ა. თორაძემ, მილიციის საქალაქო სამმართველოს უფროსმა ქ. ე. კეთილაძემ, მე-60 საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ქ. მელაძემ.

თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატებს მიესალმნენ თბილისის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. ვ. ყარყარაშვილმა.

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

XXXII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო პერიოდის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს ვრცელი რეზოლუცია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. დაამტკიცეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენცია გადავიდა დღის წესრიგის მესამე საკითხზე — დაიწყო თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, თბილისის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატების არჩევნები.

შესვენების შემდეგ გამოცხადდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების — თბილისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგები.

ამით მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ. (საქინფორმი).

# საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

**გაიმართა** საქართველოს კომუნისტური პარტიის ახლად არჩეული თბილისის კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ო. ი. ლოლაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია **ი. ა. შევარდნაძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნად არჩეულია **ე. ა. სალუქვაძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია **ო. ი. ლოლაშვილი, ი. ა. შევარდნაძე, ე. ა. სალუქვაძე, შ. ე. ბუხრაშვილი, ვ. ა. ჩოფიკაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, თ. პ. სტეპჩენკო, თ. ი. მოსაშვილი, ი. რ. ხვედელიანი.**

ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან **გ. დ. გაბუნია, ვ. ნ. ხოდელი.**

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეები: საორგანიზაციო განყოფილებისა — **შ. ვ. ყარყარაშვილი,** პროპაგანდის და აგიტაციისა — **კ. ვ. ცქიტიშვილი,** მეცნიერების და სასწავლებელთა — **დ. ვ. როგავა,** მრეწველობის და ტრანსპორტისა — **ო. ი. ივანაშვილი,** მშენებლობის და საქალაქო მეურნეობის — **ი. თ. ურუშაძე,** ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოებისა **დ. ფ. მახარაძე.**

გაზეთ „თბილისის" რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა **ნ. უ. ჯაში.**

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორად დამტკიცებულია **პ. ვ. ასლანიდი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელმაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია **ს. მ. მიქაძე.** (საქინფორმი).



სურათზე: თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან) წინა პლანზე — პირველი სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ლ. დეკანოსიძე, რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ჯ. იამანიძე, პირველი სამკერვალო ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი პ. ბოგდანოვა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე; მეორე პლანზე — კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ამწყობ-ზეინკალი შ. ფირცხალავა, სახეხი ჩარხების ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი უ. ბურბენიძე, 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ნოვატორი ხარატი მ. აკოფოვი, 26 კომისრის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსი უ. პაპუაშვილი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლეჟავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ავამაღლოთ სოფლის კადრების კვალიფიკაცია

ჩვენს სოფელში მუშაობს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ორგანიზატორთა მრავალათასიანი არმია. ზოგი მათგანი მეთაურობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სხვები — ბრიგადებს, ფერმებსა და განყოფილებებს, ზოგი ასრულებს აგრონომის, ზოოტექნიკოსის, ვეტერინარი ექიმის, ინჟინრის მოვალეობას. თავიანთი ბეჯითი შრომით ისინი კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან ხელიხელჩაკიდებულნი წყვეტენ დიდ და რთულ ამოცანებს, რომლებიც დასახულია სოფლის მეურნეობის წინაშე. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ ყურადღებას იჩენენ ამ კადრებისადმი, ქმნიან ყველა პირობას მათი ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

ასეთი ყურადღების ახალი გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელიც გუშინ გამოქვეყნდა „პრავდაში". ახლა იქმნება სოფლისათვის კადრების გადამზადების მწყობრი სისტემა. ამ საქმეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ნაკარნახევია სოფლის მეურნეობის შემდგომ...

ნარების დიდი არმია. მათი უმრავლესობა დასაქმებულია უშუალოდ ბრიგადებში, ფერმებში, სახელოსნოებში. ეს კადრები ასრულებენ ძალიან დიდ და საპირო მუშაობას, რომელიც მოითხოვს თეორიულ მომზადებას და კარგ პრაქტიკულ ჩვევებს. საშუალო რგოლის სპეციალისტთა კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას ხელს შეუწყობს მათთვის შექმნილი სკოლები. ისინი იქმნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

ამ ბოლო დროს სოფლად ფართოდ გაიშალა სამშენებლო სამუშაოები: შენდება საცხოვრებელი სახლები, ფერმები, კლუბები, საბავშვო დაწესებულებები. მშენებლობის გაზრდილი გაქანება გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ამ საქმის სპეციალისტებს. საიდუმლო არ არის, რომ ბევრ მათგანს არა აქვს მაღალი ოსტატობა, ესაჭიროება ცოდნის შევსება. ამ მიზნით ოთხ საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში — ვორონეჟის, კუიბიშევის, ნოვოსიბირსკისა და ხარკოვის ინსტიტუტებში — ეწყობა სოფლის მშენებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი ფაკულტეტები.

სახელმწიფო კისრულობს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი რაზმის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ დიდ ხარჯებს...

ПРАВДА

11 თებერვლის მოწინავე

# ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

# შრომით ვახვდეთ

რუსთავი. (საქ. კორ.). 70 ათასი ტონა ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვა — ასეთია მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი მძლავრი კოლექტივის — რკინიგზის საამქროს სადღეღამისო წარმადობა. საამქროს კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველდღიურად ასრულებს დატვირთვისა და გადმოტვირთვის საწარმოო გეგმებს. ამასთან სისტემატურად მცირდება ვაგონების მოცდენა. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 0,1 ნაცვლად აქ ვაგონების ყოველდღიური მოცდენა შემცირებულია 0,3 პროცენტით.

ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩევა...

# დანაზოგი — 500 ტონა

# მოწინავე საქმე

... ხორცისა — 101 პროცენტით, რძისა — 120 პროცენტით, კვერცხისა — 124 პროცენტით.

გეგმის გადაჭარბებით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

# მეგობრობა და ურთიერთგაგება

## საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1-10 თებერვალს სსრ კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ ჰაშიმ მეივანდვალი მეუღლითურთ...

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის გამო, რომელსაც ტრადიციულად მეგობრული, კეთილმეზობლური ხასიათი აქვს...

მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიის გადაწყვეტილებას...

... შრომა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

მხარეები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ მოვლენების კეთილსაიმედო განვითარების გამო...

# შეკითხვები და პასუხები

## „ლუნა-9“-ის ტრიუმფისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე

### უპასუხებს აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში

**შეკითხვა:** რა მიზეზების გამო შეიცვალა სადგურის მდგომარეობა მეორე და მესამე სეანსებს შორის?

**პასუხი:** ამის მიზეზი გახლდათ მთვარის ზედაპირის დეფორმაცია. რას წარმოადგენდა ეს დეფორმაცია ან რით იყო იგი გამოწვეული — ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. შეიძლება მოხდა გრუნტის ერთგვარი ჩაწევა სადგურის დაჯდომის ადგილას, ან შესაძლოა, სადგური თავდაპირველად არამდგრადად დაჯდა, მაგალითად, რომელიმე კენჭზე.

პატარა დეფორმაცია შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგანაც მთვარის ზედაპირზე ხდებოდა ტემპერატურული ცვლილებანი, აგრეთვე შესაძლოა, რომ სადგურმა ერთგვარი მექანიკური ზემოქმედება მოახდინა გრუნტზე.

**შეკითხვა:** არის თუ არა „ლუნა-9“-ზე მზის ბატარეები?

**პასუხი:** არა, რადგანაც პროგრამით ძირითადად გათვალისწინებული იყო მთვარის ზედაპირის ფოტოგრაფირება და, გარდა ამისა, უნდა განგვეხორციელებინა კოსმოსური რადიაციის ექსპერიმენტი და ამ შემთხვევაში მზის ბატარეები საჭირო არ იყო.

**შეკითხვა:** რამდენად არის გადაჭრილი კოსმონავტის მთვარეზე გაფრენისა და დედამიწაზე დაბრუნების პრობლემა?

**პასუხი:** ეს პრობლემა მაშინ გადაიჭრება, როცა ადამიანი გაფრინდება და დაბრუნდება (სიცილი დარბაზში). საამისოდ, რა თქმა უნდა, დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ნარნარი დაჯდომა ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტია, რადგანაც ადრე ვეჭვობდით, შეიძლებოდა თუ არა საერთოდ მთვარის ზედაპირზე წარმატებით დაჯდომა, ახლა ვიცით, რომ ეს შეიძლება და ვიცით, როგორ დავჯდეთ. მაგრამ რა თქმა უნდა რჩება სხვა საკმაოდ სერიოზული პრობლემებიც.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა, რომ ადამიანმა იცხოვროს და იმუშაოს მთვარეზე რამდენიმე ხნის განმავლობაში?

**პასუხი:** ვფიქრობ, შეიძლება, რა თქმა უნდა სიცოცხლის უზრუნველყოფის შესაბამისი პირობების დროს.

**შეკითხვა:** როგორი იქნება შემდგომი ეტაპი კოსმონავტების მთვარეზე გაფრენის გზაზე?

**პასუხი:** შეიძლება კოსმონავტმა თავდაპირველად შემოუფრინოს მთვარეს, მაგრამ ეს ჯერ საკითხია. მარტო წინა პრეს-კონფერენციაზე კი არა, უფრო ადრეც მითქვამს, რომ ჩვენი მეცნიერები დაინტერესებული არიან ადამიანის მთვარეზე გაფრენის პრობლემით, და ახლა შეუძლებელია ამ პრობლემით არ იყოს დაინტერესებული კაცი. ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო კვლევა წარმოებს ამ მიმართულებით, მაგრამ, მე მგონი, ამგვარი ამოცანის რეალური გადაჭრის რაიმე ვადების თქმა ახლა ჯერ კიდევ ძნელია. გადაიდგა დიდი ნაბიჯი. და ამ ნაბიჯის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა ჩაუუკვირდეთ, როგორ წარვმართოთ მომავალში ამ პრობლემის კვლევა.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნარნარად დაჯდომის სისტემა ასი პროცენტით უზრუნველყოფს შემდგომი სადგურის საიმედო დაჯდომას?

**პასუხი:** ტექნიკური თვალსაზრისით ამ ამოცანის გადაჭრა უზრუნველყოფილია ასი პროცენტით. შემთხვევითობის თვალსაზრისით კი... რა თქმა უნდა, არასოდეს არაფერი არ არის 100 პროცენტით გარანტირებული, ხომ ხდება ავტომობილების კატასტროფები, თუმცა ავტომობილები უკვე დიდი ხანია დადიან დედამიწაზე. მაგრამ, ვიმეორებ, ტექნიკურად ეს ამოცანა უკვე გადაიჭრა.

**შეკითხვა:** რას ნიშნავს ფორმულირება: „სადგურის პროგრამა წარმატებით შესრულდა?“ როგორი იყო პროგრამის მოცულობა?

**პასუხი:** სადგურის მუშაობის პროგრამით გათვალისწინებული იყო რამდენიმე პანორამული ფოტოსურათისა და საჭირო ტელემეტრიული ინფორმაციის გადმოცემა. და ეს შესრულდა კიდეც.

**შეკითხვა:** რამდენია ახლა დედამიწის ორბიტაზე და კოსმოსში საბჭოთა კოსმოსური აპარატი, რომლებთანაც დამყარებულია რეგულარული კავშირი?

**პასუხი:** უმნიშვნელოვანესი და მეტად საინტერესო ობიექტებია ორი ავტომატური სადგური, რომლებიც ახლა ვენერისაკენ მიემართებიან, აგრეთვე კავშირის მუდმივად მოქმედი თანამგზავრები „მოლნია-1“ და ზოგიერთი სხვა კოსმოსური ობიექტი.

**შეკითხვა:** ხომ ვერ დაგვისახელებთ ძირითად ეტაპებს, რომლებიც უნდა გავიაროთ მთვარეზე ავტომატური სადგურის ნარნარი დაჯდომის განხორციელებასა და პილოტირებული ხომალდის მთვარეზე მომავალ დაჯდომას შორის?

**პასუხი:** ვგონებ, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია. რომლებიც დიდ ტექნიკურ ოსტატობას, მეცნიერების თანამედროვე საშუალებათა გამოყენებას მოითხოვს. მაგრამ ამ საკითხთაგან თავისი მნიშვნელობით ერთი მათგანი შეიძლება შევადაროთ ნარნარად დაჯდომის პრობლემას. ეს არის დედამიწაზე დაბრუნება.

კოსმონავტები დედამიწაზე პირველი კოსმოსური სიჩქარით ბრუნდებოდნენ. როცა გაგარინი გაფრინდა, მაშინ მეცნიერების თვალსაზრისით, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ეს მაინც რაღაც ახალი და იდუმალებით მოცული იყო. ხოლო მთვარიდან რომ დავბრუნდეთ, ატმოსფეროში უნდა დავბრუნდეთ მეორე კოსმოსური სიჩქარით, — ეს უკვე 11, და არა 8 ათასი მეტრია წამში.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა უკვე ახლა ითქვას, რომ „ლუნა-9“-დან გადმოცემულმა ფოტოსურათებმა, რაიმე არსებითი ცვლილებანი შეიტანეს მეცნიერთა წარმოდგენაში მთვარის შესახებ.

**პასუხი:** ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეიტანეს. მეცნიერთა გამოხმაურება, რაც მსოფლიო პრესაში დაიბეჭდა, ეთანხმება ჩვენს ამ აზრს.

**შეკითხვა:** რას გვეტყვით პროფესორ ლოველის იმ მოსაზრებაზე, რომ სსრ კავშირი 1967 წლის დამდეგს გაგზავნის ეკიპაჟიან ხომალდს მთვარის გარშემო ორბიტაზე?

**პასუხი:** არ ვიცი, რაზეა დაფუძნებული პროფესორ ლოველის მოსაზრება.

**შეკითხვა:** ხომ ვერ გვეტყვით მართვის ნაკვეთურისა და სამუხრუჭო მოწყობილობის წონას?

**პასუხი:** მთელი მოწყობილობა, რომელიც მეორე კოსმოსური სიჩქარით გავიდა მთვარისაკენ, დაახლოებით 1,5 ტონას იწონიდა, თვით სადგური კი 100 კილოგრამს. უნდა გითხრათ, რომ ამ გაფრენისას ჩვენ არ გვცდია მეტად შეგვემსუბუქებინა სამუხრუჭო და მართვის მოწყობილობა. პირველ რიგში ყოველი ღონე ვიხმარეთ, რათა უზრუნველგვეყო ამოცანის საიმედოდ გადაჭრა.

**შეკითხვა:** ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-ზე დადგმული იყო საბჭოური მოწყობილობა, თუ ზოგიერთი მისი დეტალი მოგვაწოდეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა?

**პასუხი:** მთელი მოწყობილობა საბჭოური იყო, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ახლა, როდესაც სოციალისტურ ქვეყნებთან დავდეთ შეთანხმება კოსმოსურ კვლევათა დარგში თანამშრომლობის შესახებ, გვექნება საერთო მოწყობილობაც.

**შეკითხვა:** ხომ არ გამორიცხავთ შესაძლებლობას, რომ უახლოეს მომავალში „ლუნა-9“-ის მსგავსი ავტომატური სადგური ნარნარად დაჯდება, ვთქვათ, პლანეტა ვენერაზე?

**პასუხი:** ასეთ პრინციპულ შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს ძნელი ამოცანაა. უნდა ითქვას, რომ ვენერაზე დაჯდომას თავისი სპეციფიკური სიძნელეები აქვს, რადგან, როგორც ჩანს, ამ პლანეტის ზედაპირზე ტემპერატურა დაახლოებით 400 გრადუსია ცელსიუსით, ამასთან ატმოსფერული წნევა ძალზე დიდია.

**შეკითხვა:** მოსალოდნელია თუ არა კიდევ მიმდინარე წელს „ლუნა-9“-ის ტიპის ახალი კოსმოსური სადგურების გაშვება?

**პასუხი:** ვფიქრობ, ეს საინტერესო იქნებოდა.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა განაცხადა. რამდენიმე ხანია მთვარე თეორიული კვლევის ობიექტია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით. ავტომატური სადგურის „ლუნა-9“-ის ნარნარად დაჯდომა, რითაც, უდავოა, ახალი ერა იწყება მთვარისადმი ადამიანთა საზოგადოების ურთიერთობაში, უსათუოდ, გვაახლოებს იმ დროსთან, როდესაც მთვარე საერთაშორისო სამართლებრივი ობიექტი გახდება, უკვე არა მხოლოდ თეორიულად, არამედ სავსებით კონკრეტულად, პრაქტიკულად.

ამის გამო აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა თქვა:

— იურისტებმა კარგად უნდა იზრუნონ კოსმოსური სამართლის საკითხებზე. მე ავკრძალავდი ყოველგვარ სამხედრო მოქმედებას მთვარეზე. ჩვენი ქვეყანა შეიარაღების წინააღმდეგია დედამიწაზე. მით უმეტეს — მთვარეზე.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ აგრეთვე ასეთი პრობლემით: მთვარეზე ადამიანის გაფრენის განხორციელებაში რა უფრო რთულია — მთვარეზე ადამიანის ყოფნა თუ მისი იქიდან დაბრუნება?

უპასუხა რა ამ კითხვას, აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფრო ადვილია მთვარეზე ყოფნის, რასაკვირველია ცოტა ხნით. საკითხის გადაჭრა, ვიდრე იქიდან დაბრუნების საკითხისა.

**შეკითხვა:** ხომ არ არის იმის შიში, რომ მთვარეზე დაჯდომის შემდეგ ამ ციური სხეულის ზედაპირზე შეიძლება მოხვდნენ დედამიწის ბაქტერიები?

**პასუხი:** ხორციელდება სპეციალური ღონისძიებანი, რათა ეს არ მოხდეს.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა სადგური „ლუნა-9“ ჩავთვალოთ მთვარეზე პირველ საფოსტო განყოფილებად, რომელმაც თავისი მუშაობა ფოტოტელეგრამების გადმოცემით დაიწყო?

ეს შეკითხვა, ხუმრობით უპასუხებს მეცნიერი, ალბათ, უნდა დავაზუსტოთ იმათთან ერთად, ვინც კოსმოსურ სამართალზე მუშაობს.

**შეკითხვა:** როგორია მთვარის გრუნტისა და ატმოსფეროს პირველი სინჯების, მთვარის სეისმოგრამების, მთვარის გრუნტის ტემპერატურისა და სხვათა მიღების სავარაუდო ვადები? ეს ვადები განისაზღვრება თვეებით თუ წლებით?

**პასუხი:** ვფიქრობ, თვეობით ან რამდენიმე ათეული თვით.

**შეკითხვა:** რა მეთოდები იყო გამოყენებული დედამიწაზე სატელევიზიო გადმოცემებისათვის? გამოყენებული იყო ციფრობრივი სიგნალები თუ მთვარის მონაცემების გადმოცემა ანალოგიური მოდულაციის მეთოდით წარმოებდა?

**პასუხი:** გამოყენებული იყო სიხშირული მოდულაციის ჩვეულებრივი მეთოდი, რომელიც ხშირად გამოიყენება დედამიწის გადაცემებისათვის.

**შეკითხვა:** განზრახულია თუ არა ავტომატური სადგურების წინა გაშვებათა მაგალითისამებრ იმ ფოტოსურათების გამოქვეყნება, რომლებიც სადგურმა „ლუნა-9“-მ გადაიღო?

**პასუხი:** მეცნიერებათა აკადემიას განზრახული აქვს გამოუშვას ამ სადგურის გაშვებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა მთვარის ზედაპირის ფოტოსურათებით. შემდგომ მეცნიერული ჟურნალები გამოაქვეყნებენ ყველაფერს, რასაც დამატებით მოგვცემს სადგურ „ლუნა-9“-ის მიერ გადმოცემული მასალები.

**შეკითხვა:** სადგური „ლუნა-9“ დედამიწაზე თუ გზავნიდა სხვა ინფორმაციას, გარდა საყოველთაოდ ცნობილი გამოსახულებებისა? შეიძლება თუ არა გავიგოთ განხორციელებულ ექსპერიმენტთა შედეგები?

**პასუხი:** ეს ითქვა პროფესორ ლებედინსკის ცნობაში. წარმოებდა დოზიმეტრიული გაზომვები, მთვარეზე აღმოჩენილია ფონი, რომელიც გამოწვეულია ბირთვული რეაქციებით მთვარის გრუნტში კოსმოსური სხივების მოქმედებით. ეს მოსალოდნელიც იყო. ამ ფონის კიდევ უფრო დეტალური შესწავლა, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, მომავალში შეიძლება გამოვიყენოთ მთვარის ზედაპირის შემადგენლობის ანალიზისათვის. გარდა ამისა, გადმოცემული იყო ძალზე დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობდა ყველა სისტემა ფრენის დროს. მთვარის სადგურის სისტემები, როგორი იყო მისი სითბოს რეჟიმი მთვარეზე. ყველა ეს მონაცემი მეტად მნიშვნელოვანია და კვლავ მოხდება მათი გაანალიზება.

**შეკითხვა:** რამდენ ხანს შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს „ლუნა-9“ მთვარის პირობებში და როგორია დედამიწაზე სადგურის დაბრუნების შესაძლებლობანი?

**პასუხი:** სადგური, ალბათ, იქ მილიონ წელს დარჩება. მისი უკან დაბრუნება განზრახული არა გვაქვს. შესაძლოა მოგვიანებით, როდესაც ადამიანის მოგზაურობა მთვარეზე და უკან დაბრუნება ჩვეულებრივი საქმე გახდება, ჩამოვიტანოთ სადგური და მუზეუმში დავდოთ, როგორც ისტორიული ექსპონატი.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა მთვარეზე სოფლის მეურნეობის რომელიმე კულტურის მოყვანა? რა ხელოვნური ატმოსფეროს მქონე სათბურები იქნება საჭირო ამისათვის და შეიძლება თუ არა მთვარის ზედაპირი საყანედ გამოვიყენოთ?

ამ შეკითხვებმა სიცილი გამოიწვია დარბაზში, მაგრამ მეცნიერმა სავსებით სერიოზულად უპასუხა.

**პასუხი:** ვფიქრობ, შესაბამის მოწყობილობათა პირობებში შეიძლება. ბიოლოგები რეგენერაციის დახშულ ციკლებზეც კი მუშაობენ მცენარეთა მოსავლის მოყვანისათვის კოსმოსურ ხომალდებში და არა მარტო მთვარეზე. მეცნიერების ამ სერიოზულ დარგში უკვე არის დიდი წარმატებანი.

დარბაზში გამოცოცხლება გამოიწვია შემდეგმა დიალოგმაც:

**შეკითხვა:** მთვარის ფოტოსურათებზე მოჩანს ქვა. მეტეორიტის სპეციალისტების კვლევის საგანია ეს თუ ვულკანოლოგებისა?

**პასუხი:** ვფიქრობ, მათ ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა ერთიმეორეს მიანდონ ეს საქმე.

**შეკითხვა:** მოფიქრებულია თუ არა მთვარეზე დაჯდომის ისტორიული ადგილის სპეციალური სახელწოდება? თუ მოფიქრებულია, როგორია იგი?

**პასუხი:** მიმაჩნია, რომ უნდა მოვიფიქროთ. ამერიკელმა მეცნიერებმა „რეინჯერ-7“-ის დავარდნის ადგილს „შეცნობილი ზღვა“ უწოდეს. მაგრამ ასტრონომებს აქვთ თავიანთი საერთაშორისო წესები, და ისინი არავის არ აძლევენ ნებას სახელწოდება ისე მიანიჭონ რაიმეს, თუ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი არ დაამტკიცებს. ამიტომ ამაზე ლაპარაკი ახლა ნაადრევია.

**შეკითხვა:** იყო თუ არა პრინციპული შესაძლებლობა მუდმივი რადიოსიგნალები მიგვეღო „ლუნა-9“-დან კვლევის ძირითადი პროგრამის დამთავრების შემდეგ?

**პასუხი:** სიგნალების მიღება შეიძლებოდა, თუ გამოვიყენებდით ენერგიის იმ მარაგს, რომელიც გათვალისწინებული იყო.

**შეკითხვა:** რას უნდა იწონიდეს მთელი მოწყობილობა, რომელიც კოსმონავტებიან ხომალდს მიიყვანს მთვარეზე და დააბრუნებს მას დედამიწაზე?

**პასუხი:** როგორც ცნობილია, რაკეტის საწყისი წონა ასეთი მიზნისათვის ათასობით ტონა უნდა იყოს.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა დედამიწაზე მთვარის გრუნტის ნიმუშის ჩამოტანა მთვარეზე ადამიანის გაფრენის წინ მისი გამოკვლევისათვის?

**პასუხი:** სადგურ „ლუნა-9“-ს ამის გაკეთება არ შეუძლია, მაგრამ პრინციპულად შეიძლება შეიქმნას ისეთი რაკეტული სისტემა, რომელიც ასეთ ამოცანას შეასრულებს. ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება უფრო მარტივი ხერხითაც, თუ მთვარეზე „ლუნა-9“-ის ტიპის სადგურებით გავგზავნით ხელსაწყოებს, რომლებიც იქ, ადგილზე, განახორციელებენ ანალიზს და შემდეგ ცნობებს გადმოსცემენ დედამიწაზე.

**შეკითხვა:** სავალდებულოა თუ არა ხომალდების შეპირაპირება დედამიწის ორბიტაზე ადამიანის მთვარეზე გაფრენის დროს?

**პასუხი:** პრინციპულად ეს სავალდებულო არ არის.

**შეკითხვა:** როდის მივიღებთ პირველ ცნობებს სადგურ „ვენერა-2“-დან და სადგურ „ვენერა-3“-დან?

**პასუხი:** ეს სადგურები მიფრინავენ და მუშაობენ ისე, როგორც მათ წინასწარ აქვთ დაწესებული, მათთან რეგულარული კავშირია დამყარებული და როგორც ვიცით, ისინი ვენერას დაახლოებით პირველ მარტს მიუახლოვდებიან

**შეკითხვა:** როგორ მოსცილდა ტელემეტრული აპარატურა სადგურ „ლუნა-9“-ს? რა მანძილით იყვნენ დაშორებული ერთმანეთისაგან საზომი კომპლექსი და სადგურ „ლუნა-9“-ის კორპუსი?

**პასუხი:** სადგურ „ლუნა-9“-ს ჩვენ ვუწოდებთ იმ ნაკვეთურს, რომელსაც საჭირო საზომი აპარატურა და მთვარის ტელეგადამცემი უჭირავს. ფრენის მართვისა და დაჯდომის უზრუნველყოფის მოწყობილობანი გამოეყო სადგურს და დავარდა მთვარეზე. ფოტოსურათზე ისინი არ მოჩანს. მანძილის ზუსტად დასახელება შეუძლებელია, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ამ მოწყობილობებმა თავიანთი ფუნქცია შეასრულეს, საჭირო აღარ იყო მათთვის თვალყურის დევნება.

**შეკითხვა:** რით არის განპირობებული დედამიწაზე გადმოცემული მთვარის გამოსახულების დიდი მკაფიოობა? რამდენი პწკარისაგან შედგება ეს გამოსახულება? რამდენ ხანს გრძელდებოდა გამოსახულების სატელევიზიო გადმოცემის სეანსი და რამდენი გამოსახულება გადმოსცა სადგურ „ლუნა-9“-მ?

**პასუხი:** გამოსახულებათა დიდი მკაფიოობა უზრუნველყო სადგურის კარგმა აპარატურამ. ფოტოსურათების მთლიან პანორამაში 6 ათასი პწკარია და მისი გადმოცემა 100 წუთს გრძელდებოდა. სატელევიზიო გამოსახულების გადმოცემა ხდებოდა ოთხი სეანსის მანძილზე.

**შეკითხვა:** არის თუ არა მთვარეზე ატმოსფეროს თუნდაც ნარჩენები? და თუ არის, როგორია მისი შემადგენლობა და წნევა?

**პასუხი:** გააჩნია, რას გულისხმობთ ატმოსფეროდ. ატმოსფერო, როგორც ჩვენ დედამიწაზე გვესმის, იქ პრაქტიკულად არ არის. მაგრამ, რასაკვირველია, არის რაღაც ნაწილაკები, ძლიერ გაიშვიათებულ გარემოში, მთვარის მახლობლად. ისინი მიდიან საპლანეტათაშორისო სივრცეში და პირიქით — განუწყვეტლივ ხვდებიან მთვარის მიზიდულობის სფეროში. ასე, რომ, ვიმეორებ, მთვარის ახლოს ატმოსფერო არ არის.

**შეკითხვა:** აქვს თუ არა სსრ კავშირს პრეტენზია იმ ტერიტორიაზე, სადაც „ლუნა-9“ დაჯდა?

**პასუხი:** არა, არა აქვს.

**შეკითხვა:** როგორ გადაიჭრება მთვარეზე ტერიტორიული საკითხები?

**პასუხი:** დაე გადაჭრან იურისტებმა. მე მიმაჩნია, რომ ეს საკითხები ისე უნდა გადაიჭრას, რომ ასეთი შეკითხვები საერთოდ აღარ დაისვას.

ჟურნალისტებს უპასუხეს აგრეთვე აკადემიკოსებმა ა. პ. ვინოგრადოვმა და ა. ა. მიხაილოვმა.

ამით პრეს-კონფერენცია დამთავრდა.

(საქდესი).

# საერთაშორისო ცხოვრება

## ფ. კასტროს წერილი უ ტანისადმი

**ნიუ-იორკი,** 11 თებერვალი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეობის შემსრულებელმა ხუან ხუარაბემ გუშინ გენერალურ მდივანს უ ტანს გადასცა კუბის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს წერილი. წერილში კუბის მთავრობის მეთაურმა უარყო ეგრეთწოდებული ბრალდება, თითქოს ერეოდეს ლათინური ამერიკის საქმეებში. ეს ბრალდება კუბასა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველ კონფერენციას წაუყენეს ლათინური ამერიკის ქვეყნების (გარდა მექსიკისა) წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წერილში, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნეს.

ამ საჩივრის ცინიკური მიზანი ის არის, რომ გაამართლონ შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, შენიღბონ მზადება კუბის წინააღმდეგ აგრესიისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს ფიდელ კასტრო თავის წერილში.

კუბის რევოლუციური მთავრობა, წერს ფიდელ კასტრო, სავსებით და მთლიანად იცავს სოლიდარობის პირველი კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ.

## სანტო-დომინგოში კვლავ იღვრება სისხლი

**ნიუ-იორკი,** 11 თებერვალი. საქდესის კორესპონდენტი ი. რომანცოვი გვატყობინებს: სანტო-დომინგოს ქუჩები კვლავ მოირწყო დომინგოელთა სისხლით, როცა პოლიციამ და „ამერიკის სახელმწიფოთა ძალებმა“ ცეცხლი დაუშინეს ქალაქის მცხოვრებთა დიდ ჯგუფს, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ დომინგოს რესპუბლიკაში ამერიკელი ოკუპანტებისა და ადგილობრივი მხედრიონის თვითნებობის წინააღმდეგ. წინასწარი მონაცემებით, ამ ახალი შეჯახების დროს სამი კაცი დახოცეს და ოთხი დაჭრეს. ამრიგად, ორი დღის შფოთის მანძილზე დომინგოს რესპუბლიკაში დახოცეს ათი და დაჭრეს ორმოცდაათზე მეტი კაცი.

დაძაბული მდგომარეობაა არა მარტო დედაქალაქში, არამედ დომინგოს რესპუბლიკის შიდა რაიონებშიც. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საპროტესტო დემონსტრაციები დომინგოს მხედრიონისა და „ამერიკის სახელმწიფოთა ძალების“ დანაშაულის წინააღმდეგ გუშინ მოეწყო ქალაქებში სან-ხუან-დე-ლამანაგუაში, რომანასა და სან-პედრო-დე-მაკორისში.

დომინგოს ხელისუფალნი არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს, რათა ბოლო მოუღონ თვითნებობას. პოლიციის ახალმა უფროსმა გენერალმა ხოსე დე ხესუს მორილიომ საერთოდ უარყო, რომ დომინგოში ტერორი სუფევს. „მდგომარეობა დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში ნორმალური ხდება“, — განუცხადებია მას, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან.

არსებითად, დომინგოს ხელისუფალთ არც შეუძლიათ არაფერი, რადგან დომინგოს მდგომარეობის კონტროლის ყველა ბერკეტი ამერიკის ჯარების ხელშია, რომლებმაც უკვე მეათე თვეა დაიპყრეს დომინგოს რესპუბლიკა „ამერიკის სახელმწიფოთა ძალების“ ნიღბით. ვაშინგტონის სიმპათიები კი რეაქციის მხარეზეა. ამერიკის კონტინგენტის სარდალი ბრიუს პალმერმა იყო, რომ ბანკეტზე მიიწვია დომინგოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა ყოფილი მინისტრი რივერა კამინერო მაშინვე, როგორც კი მან უარი თქვა დამორჩილებოდა დროებითი პრეზიდენტის ბრძანებას და დომინგოდან წასულიყო. სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც „ამერიკის სახელმწიფოთა ძალების“ საშუალებით მოქმედებდნენ, მიაღწიეს იმას, რომ საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდნენ დომინგოს კონსტიტუციონალისტთა ლიდერის კაამანიოს აქტიური მომხრეები თითქოს იმიტომ, რომ მათი „დაცვა“ უნდოდათ. სწორედ შეერთებული შტატები ცდილობენ ახლა, რომ დომინგოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დაითხოვონ 400 კონსტიტუციონალისტი და ამით გზა გაუკაფონ რეაქციულ მხედრიონს, რომ აშკარად ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება.

## ჯ. გოლანის გამოსვლა

**ლონდონი,** 10 თებერვალი. (საქდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჯონ გოლანი გუშინ საღამოს გამოვიდა უილსდენის (ლონდონის რაიონი) მიტინგზე და ამხილა ინგლისის მთავრობის ეკონომიური ღონისძიებათა ანტიმუშური საფუძველი.

გოლანმა აღნიშნა: ამ დღეებში გამოცხადებული ახალი ღონისძიებანი, შეზღუდონ შინამოხმარება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შესამცირებლად, მიზნად ისახავს უმუშევართა არმიის შექმნასა და ხელფასის გაყინვას.

გოლანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ მუშათა კლასის აქტიურმა ბრძოლამ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ თავიდან აგვაცილა უმუშევრობის სწრაფი ზრდა. მან განაცხადა, რომ ინგლისის რკინიგზელთა ეროვნული გაფიცვა, რომელიც 14 თებერვლისათვის არის დანიშნული, ანტიმუშური კანონმდებლობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის დიდ მნიშვნელოვანი ნაწილია. გოლანმა მოუწოდა ყველა პროფკავშირს მხარი დაუჭირონ რკინიგზელებს.

ვიეტნამში ომის გაფართოების ამერიკელი მომხრენი ცდილობენ მშვიდობისმოყვარეებად გაასაღონ თავი.



— სარკევ, სინათლევ თვალისა! მტრედი ვარ, რა მაქვს სვავისა...

ნახატი ამერიკის პროფკავშირულ გაზეთ „დისპეჩერიდან“.

## კონტრდაზვერვის მონაწილეობით

**პარიზი,** 11 თებერვალი, (საქდესი). მაროკოს ოპოზიციის ლიდერის ბენ ბარკას გატაცების საქმის გამოძიება მოულოდნელად შეტრიალდა. გუშინ საღამოს ამ საქმის ერთი მოწმე, საფრანგეთის კონტრდაზვერვის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი მარსელ ლერუა (ფენვილის სახელით ცნობილი) აღმოჩნდა საპატიმროში გამომძიებელთან დაკითხვის შემდეგ. მას ბრალად დასდეს, რომ არ გაამჟღავნა დანაშაული, რომელიც ცნობილი იყო მისთვის. ბენ ბარკას საქმის გამოძიების დაწყებიდან ლერუას ჩამოართვეს კონტრდაზვერვაში ფუნქციები, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „საგარეო დოკუმენტაციისა და კონტრდაზვერვის სამსახური“.

## ფრანსუა მიტერანის პრეს-კონფერენცია

**პარიზი,** 11 თებერვალი. (საქდესი). „დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაცია“ უპასუხოდ არ დატოვებს კომუნისტთა წინადადებას განიხილონ და შეიმუშაონ მთელი მემარცხენე ძალების საერთო პროგრამა. ეს გუშინ პარიზის „რესპუბლიკური წრის“ შენობაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ფედერაციის თავმჯდომარემ ფრანსუა მიტერანმა. ეს იყო ფრანსუა მიტერანის პირველი გამოსვლა პრესის წარმომადგენელთა წინაშე პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, რომელიც საფრანგეთში გასული წლის დეკემბერში გაიმართა და რომელშიც იგი იყო მთელი მემარცხენე ძალების საერთო კანდიდატი.

ფედერაციაში, რომელსაც მიტერანი მეთაურობს, შედიან სოციალისტური და რადიკალური პარტიები, წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი, რამდენიმე პოლიტიკური კლუბი.

არც ერთი ჩვენგანი, ხაზი გაუსვა ფ. მიტერანმა, არ ფიქრობს დაივიწყოს ან მოსპოს ხალხის ის მძლავრი ნაკადი, რომელიც მაშინ წარმოიშვა პირადი ხელისუფლების წინააღმდეგ და ნამდვილი დემოკრატიისათვის. მან განაცხადა, რომ დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციამ უკვე დაიწყო საკუთარი პროგრამის შემუშავება საარჩევნო კამპანიის დროს მის მიერ წამოყენებულ წინადადებათა და პრინციპთა საფუძველზე. ფედერაცია, როგორც მიტერანმა თქვა, მზად არის მოლაპარაკება გამართოს უკლებლივ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციასთან და მოსთხოვს მათ მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილებას მოსპონ პირადი ხელისუფლება და გარდაქმნან თანამედროვე საზოგადოების ძველი სტრუქტურები.

ორატორმა ჩამოაყალიბა დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის ტაქტიკა პარლამენტის არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს საფრანგეთში მომავალი წლის გაზაფხულზე. ფედერაცია დაასახელებს თავის საერთო კანდიდატს ყოველ საარჩევნო ოლქში.

## შეთქმულების თანამონაწილენი

**რიო-დე-ჟანეირო,** 10 თებერვალი. (საქდესი). გაზეთი „ულტიმა ორა“ ამხილებს შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს ბრაზილიაში გორდონს, რომ იგი მონაწილეობდა პრეზიდენტ ჟოაო გულარტის დამხობაში. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გორდონმა განაცხადა, რომ ჟოაო გულარტის მთავრობის დამხობის მიზნით თანამშრომლობდა ბრაზილიელ სამხედრო მოსამსახურეებთან.

გაზეთს მიაჩნია, რომ გორდონის განცხადება შუქს ფენს ორ ძირითად ასპექტს: „ჯერ ერთი, ეს მოწმობს, რომ ამერიკის მთავრობა ერევა ბრაზილიის საშინაო საქმეებში. მეორეც, ამხილებს ბრაზილიის ოფიციალურ ვერსიას ეგრეთ წოდებული აპრილის რევოლუციის ეროვნულ და სპონტანურ ხასიათის შესახებ“.

გორდონის აღიარების თანახმად, დასძენს „ულტიმა ორა“, სახელმწიფო გადატრიალებისა და შემდგომი პერიოდის ისტორია თავიდან უნდა გადაისინჯოს. ის, რაც წინათ ვარაუდი იყო, ამჟამად დასტურდება ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც შეერთებული შტატების კონგრესის ოქმებშია დაცული.

## გაშვება გადაიდო

**პარიზი,** 11 თებერვალი. (საქდესი). ფრანგმა სპეციალისტებმა, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ დღეს ხამაგირის საცდელი ცენტრიდან გაეშვათ თანამგზავრი „დ-1ა“, გაშვება ხვალამდე გადადეს. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ზოგიერთი ტექნიკური უწესივრობის შედეგად.

## გადაწყვეტილება ბელგიის მთავრობის გადადგომის შესახებ

**ბრიუსელი,** 10 თებერვალი. (საქდესი). დღეს ბელგიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. ეს ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციაზე განუცხადა პრემიერ-მინისტრმა პ. არმელმა. განცხადებას გადადგომის შესახებ ხვალ გადასცემენ ბელგიის მეფე ბოდუენ პირველს.

არმელის მთავრობამ განცხადება გადადგომის შესახებ უკვე შეიტანა 4 თებერვალს, მაგრამ მაშინ მეფემ უარყო ეს გადადგომა.

## სხვადასხვა მერიდიანზე

□ **რომი,** 10 თებერვალი. (საქდესი). მესამე კვირაა, რაც გრძელდება იტალიის მთავრობის კრიზისი, პრეზიდენტმა სარაგატმა დაიწყო კონსულტაციათა ახალი სერია: გუშინ კვირინალის სასახლეში მიიღო იტალიის ყოფილი პრეზიდენტი გრონკი, ეწვია იტალიის ყოფილ პრეზიდენტს სენის და შეხვდა სენატის თავმჯდომარეს მერძაგორასა და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს ბუჩარელი-დუჩის.

□ **ნიუ-იორკი.** 10 თებერვალი. (საქდესი). დღეს ჰონოლულუდან საიგონში ჩავიდა შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰემფრი. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ჰემფრის ვიზიტის მიზანია მოლაპარაკება აწარმოოს საიგონის რეჟიმის ხელმძღვანელებთან ვიეტნამის ომის გაფართოების საკითხებზე.

ეს ჰემფრის მეორე ვიზიტია უკანასკნელი თვენახევრის მანძილზე სამხრეთ ვიეტნამში.

□ **ნიუ-იორკი.** (საქდესი). სამნახევარ მილიონზე მეტი ამერიკელი სრულიად უწიგნურია. 19,5 მილიონ ამერიკელს მიღებული აქვს მხოლოდ არასრული საშუალო განათლება. ეს ცნობები მოყვანილია დღეს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“.

□ **ვაშინგტონი,** 10 თებერვალი. (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელნი თანასწორუფლებიან დელეგაციად უნდა იქნენ წარმოდგენილნი ყოველ მოლაპარაკებაში ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, განაცხადა სენატორმა იანგმა (დემოკრატი, ოჰაიოს შტატი).

□ **ჰანოი,** 11 თებერვალი. (საქდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება ჰონოლულუს თათბირის გამო, რომელიც პრეზიდენტმა ჯონსონმა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გამართეს საიგონის მარიონეტებთან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია განცხადებაში, მკაცრად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა და მათი მარიონეტების იმ ახალ გეგმებს, რომ გააფართოონ აგრესიული ომი ვიეტნამში, გმობს მათ უკანონო შეთანხმებას, რომელიც ჰონოლულუს თათბირზე დადეს.

□ **ჰანოი,** 11 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ ბომბავს და ტყვიას უშენს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სკოლებს, საავადმყოფოებს, ეკლესიებსა და საცხოვრებელ სახლებს.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, 9 თებერვალს ამერიკის 12 თვითმფრინავი ერთი საათის მანძილზე ბომბავდა ჰატინის პროვინციის ჰუონგკხის რაიონის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს. სოფელ ჰუონგფუკში ამერიკელმა ბარბაროსებმა ბომბები დაუშინეს სკოლას. 57 მოსწავლე და სოფლის 8 მცხოვრები დახოცა და დაიჭრა.

□ **მონროვია,** 11 თებერვალი. (საქდესი). ლიბერიის პარლამენტმა მიიღო კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის საგანგებო უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ. ეს კანონი ფაქტიურად განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებს მას.

ახალი კანონის შესაბამისად პრეზიდენტს უფლება აქვს აკრძალოს გაფიცვები, შეზღუდოს პროფკავშირთა საქმიანობა, შემოიღოს სახელმწიფოში საგანგებო წესები ერთ წლამდე ვადით და გამოსცეს ბრძანებანი იმ პირთა გაძევებისა და დაპატიმრების შესახებ, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ საქმიანობაში.

□ **ტოკიო,** 10 თებერვალი. (საქდესი). ტოკიოში მუშაობა დაამთავრა იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს 30-ე რიგგარეშე ყრილობამ. ყრილობა დამთავრდა სიმღერით „მუშები არ ნებდებიან“, რომელიც იაპონელ მშრომელთა საბრძოლო ჰიმნად გახდა. ეს საბჭო აერთიანებს 4 მილიონ 200 ათასზე მეტს კაცს.

## ინდოეთის ეროვნული კონგრესის ყრილობა

**ჯაიპური,** 11 თებერვალი. (საქდესი). ბევრმა ორატორმა, რომლებიც გამოვიდნენ აქ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის 70-ე ყრილობის მუშაობის პირველ დღეს, განაცხადა, რომ იწონებს ტაშკენტის დეკლარაციას. დეკლარაციის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ხაზი გაუსვეს რ. რედიმ, ს. პალივალმა, ვ. რაჯუმ და ყრილობის სხვა დელეგატებმა — ინდოეთის თითქმის ყველა შტატის წარმომადგენლებმა, მათ აღნიშნეს დიდი დადებითი როლი საბჭოთა მთავრობის კეთილი სამსახურისა ინდოეთ-პაკისტანის ტაშკენტის მოლაპარაკებაში, რომელსაც მოჰყვა ურთიერთგაგების დამყარება ორ ქვეყანას შორის.

ტაშკენტის დეკლარაციის შესახებ რეზოლუციის პროექტის ოთხი საათის განხილვის შემდეგ იგი ერთხმად, სრულიად უშენიშვნოდ მოიწონა სარედაქციო კომიტეტმა.

## კანადის პარლამენტში

**ოტავა,** 10 თებერვალი. (საქდესი). კანადის თემთა პალატაში დამთავრდა ოთხი დღის კამათი მთავრობის საგარეო პოლიტიკის გამო. ბურჟუაზიული პარტიების — ლიბერალური, კონსერვატიული პარტიებისა და სოციალური კრედიტის პარტიის დეპუტატებმა დაიცვეს ამერიკის მხედრიონის დანაშაული ვიეტნამში. ამასთანავე პარლამენტის მთელმა რიგმა წევრებმა დაგმეს ვაშინგტონის აგრესიული კურსი ვიეტნამში და მოითხოვეს, რომ კანადა ახორციელებდეს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს.

შეერთებული შტატების მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის განახლება საშიშია და შეიძლება მოჰყვეს ომის რამდენიმე წლით გახანგრძლივება, განაცხადა ახალი დემოკრატიული პარტიის დეპუტატმა დ. ლუისმა. „ჩვენი მოვალეობა, — თქვა მან, — გავილაშქროთ ამ უგუნური სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ“.

ამ პარტიის ლიდერი ტ. დუგლასი შეეხო ჰონოლულუში დამთავრებული თათბირის შედეგებს და ხაზგასმით აღნიშნა: „ეჭვს არ იწვევს, რომ შევდივართ ვიეტნამის ომის შემდგომი ესკალაციის სტადიაში“. მან მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და დათანხმდნენ დაიწყონ მოლაპარაკება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან. ვიეტნამში ამერიკის აგრესია და ამ აგრესიისადმი კანადის მთავრობის დამოკიდებულება მკაცრად გააკრიტიკეს ახალი დემოკრატიული პარტიის სხვა დეპუტატებმაც.



ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ გადაღებულ სურათზე, რომელიც მიღებულია ფოტოტელეგრაფით, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები მეშვიდე ფლოტის ხომალდებიდან სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე გადადიან კუანგ ნგაის სამხრეთით. ასე ხორციელდება სამხრეთ ვიეტნამში უბადლებული „ესკალაციის“ მორიგი ოპერაცია.

ტელეფოტო აპ-საქდესისა.

## ტრაგედია გრძელდება

**ბუენოს-აირესი,** 10 თებერვალი. (საქდესი). მდგომარეობა არგენტინის ჩრდილოეთ პროვინციებში, გამოწვეული მდინარეების პარანისა და პარაგვაის უკანასკნელი 50 წლის მანძილზე უმაგალითო ადიდებით, კვლავ კრიტიკულია. მდინარე პარანაში წყლის დონე სულ უფრო მატულობს და 6 მეტრს მიაღწია. უკვე ერთი თვეა, რაც წყლით დაფარულია ჩაკოს, ფორმოსის, მისიონესის, სანტა-ფესა და კორიენტესის პროვინციათა ვრცელი ტერიტორიები. წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობას: დაიღუპა ასი ათასობით ჰექტარი უკვე დამწიფებული პური, ბამბა, თამბაქო, მზესუმზირა და სიმინდი. დანგრეულია ათასობით საცხოვრებელი სახლი. 10.000 კაცი იძულებული გახდა გაქცეულიყო დატბორილი რაიონებიდან. მათ თავშესაფარი პოვეს ჯარის ყაზარმებსა და რკინიგზის ვაგონებში.

ყველაზე მეტი საფრთხე ამჟამად მოსახლეობას მოელის იმის გამო, რომ მარტში შეიძლება დაიწყოს შემოდგომის წვიმები, რომლებიც აგრეთვე ჩვეულებრივ თავს ატყდება ჩრდილოეთის პროვინციებს.

# ათჯერ გავზომოთ და ისე გადავჭრათ



**შ. გაგილოძე,**
მახარაძის რაიონის მელექედურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით დღითიდღე უმჯობესდება სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა. ეკონომიკის განუხრელად ზრდამ, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებამ ყველა პირობა შექმნა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენი კოლმეურნე გლეხობა თავდადებით იბრძვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

სოფლის მშრომელთა შემოქმედებით შრომას, მის შედეგებს გადამწყვეტი როლი ენიჭება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. საკოლმეურნეო ცხოვრების კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების შემუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ეტაპზე. ძველ წესდებაში მართლაც ბევრი რამ მოძველდა. საჭიროა თანამედროვე პირობებთან შეფარდებით ცვლილებების შეტანა. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა კომისია სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის შესამუშავებლად.

ეს ღონისძიება სასიხარულოა კოლმეურნე გლეხობისათვის. ისინი გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, აყენებენ წინადადებებს. მათ შორის აღსანიშნავია ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობების თავმჯდომარეების წინადადებანი, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში".

გულდასმით გავეცანი „კომუნისტის" 27 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ მ. ორაგველიძის სტატიას „როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება?". დიდად საყურადღებოა მ. ორაგველიძის მიერ მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული წინადადებები, მაგრამ ბევრი რამ მოითხოვს დაზუსტებას, ბევრი რამ არ არის მისაღები. ამიტომ მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა.

მ. ორაგველიძის სტატიაში მთავარი ადგილი მიწათსარგებლობის საკითხს უჭირავს. ეს ასეც უნდა იყოს. იქ, სადაც მაღალია მიწათსარგებლობის კულტურა, კოლმეურნეობა ეკონომიურად ძლიერია. შემთხვევით როდია, რომ მიწის სარგებლობის კანონს ხალხმა „რკინის კანონი" შეარქვა.

მიწათსარგებლობის საკითხის გადაწყვეტისას ყოველმხრივ უნდა გავარკვიოთ და დავასაბუთოთ, თუ რომელი წესია უფრო მისაღები საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. სტატიის ავტორი აყენებს საკითხს, რომ საკარმიდამო ნაკვეთები განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენი შრომისუნარიანი კოლმეურნეა ოჯახში. თვითეულ კომლს მიეცეს უმცირესი 0.25, მაგრამ არაუმეტეს 1 ჰექტარისა. ერთი შეხედვით ეს წინადადება ცუდად არ გამოიყურება, მაგრამ თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, მისი უარყოფითი მხარეები აშკარა გახდება.

დავუშვათ ოჯახში ოთხი შრომისუნარიანია, ოთხივე ქმნის შრომის სავალდებულო მინიმუმს და ინარჩუნებს ერთ ჰექტარ მიწას. გავიდა დრო და ოჯახს ბედნიერება ეწვია, გათხოვდა ქალიშვილი. ქორწილით გამოწვეული ზეიმი არც კი დამთავრებულა, და აი კომისიის წევრები მიდიან, რათა ჩამოაჭრან მიწის ის ნორმა, რომელიც ქალიშვილს ეკუთვნოდა. ცხადია, როგორ „სიამოვნებას" გამოიწვევს იგი. უფრო მეტიც. არც უბედური შემთხვევისაგან არის ვინმე დაზღვეული. გარდაიცვალა ოჯახის წევრი, და ამ მწუხარებას მიწის ჩამოჭრის უსიამოვნო განცდაც ამძიმებს. საკარმიდამო ფართობის წარამარა შეცვლის ასეთი და სხვა მიზეზით გამოწვეული დაუსაბუთებელი პროცესი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

საკარმიდამო ნაკვეთის ამ წესით განსაზღვრა შეანელებს კომლის გამოყოფას, ჩრდილს მიაყენებს ქორწინებას, კიდევ უფრო დაამძიმებს უბედური შემთხვევით გამოწვეულ მწუხარებას, კოლმეურნეს გულს აუცრუებს ნაკვეთის გაშენებაზე, მის გამოყენებაზე.

**მიწის საკითხთან თამაში დაუშვებელია. საკარმიდამო ნაკვეთი კოლმეურნეს მტკიცედ უნდა განესაზღვროს და მისი შემცირების ან ჩამოჭრის საკითხი უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებრიობამ, როგორც უკიდურესი ზომა.**

იმ შემთხვევაში, როცა კომლის გაყოფა ხდება საბჭოთა კანონის სრული დაცვით და იყოფა რამდენიმე შრომისუნარიანი, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიმაჩნია კოლმეურნე კომლს შეუნარჩუნდეს 0.5 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი, ხოლო ახლად გამოყოფილ კომლს მიეცეს 0.25 ჰექტარი ფართობი საზოგადო. საკარმიდამო ფონდიდან ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს ძირითადი კომლის 0.5 ჰექტარი ფართობის შემცირება.

მრავალშვილიან ოჯახებს სახელმწიფო აძლევს დახმარებას და, ჩემი აზრით, მათთვის მიწის მიმატებით წახალისება გაუმართლებელია. ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია მიეცეს მიწის ნაკვეთი იმ პირებს, რომლებმაც სოფელთან კავშირი გაწყვიტეს და ქალაქში ცხოვრობენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა ყურადღება გაამახვილა სუსტი კოლმეურნეობების ეკონომიურად განმტკიცებაზე. პლენუმის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი იმ მიწების ათვისებლად, რომლებსაც სუსტი კოლმეურნეობები საკუთარი სახსრებით ვერ ამუშავებენ.

წინადადება იმის შესახებ, რომ აუთვისებელი მიწები ჩამოვართვათ კოლმეურნეობებს და გადავცეთ იმას, ვინც უფრო აითვისებს, ეს იქნებოდა არა დახმარება სუსტად განვითარებული კოლმეურნეობებისადმი, არამედ მათთვის ძირის გამოთხრა, რასაც მხარს ვერ დავუჭერთ.

რაც შეეხება რაიონებს შორის მიწათმოწყობას, ეს მეტად რთული საკითხია და რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ დროისა და პირობების შესაბამისად.

აზრი იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობამ უზრუნველყოს საშუალო სკოლის მოსწავლეები საჭირო სახელმძღვანელოებით და საუზმით, ხოლო ის ახალგაზრდები, რომლებიც იგზავნებიან უმაღლეს სასწავლებლებში — სტიპენდიით. კოლმეურნეები — უფასო ელექტროგანათებით, რადიოთი, კინოთეატრით. ბავშვთა ბაგებითა და ბაღებით, აბანოთი, საპარიკმახეროთი, ხოლო ჩაის ფოთლის კრეფის სეზონში ჩაის პლანტაციებში გაიხსნას სასადილოები, სადაც მკრეფავები უსასყიდლოდ მიიღებენ გემრიელ სადილს, ერთი შეხედვით მისასალმებელია. თითქოს მასში ცუდი არაფერია, მაგრამ იგი ეკონომიურად დასაბუთებული როდია. ყველა ამ ღონისძიებათა ხარჯებს თუ ზუსტად გავიანგარიშებთ, დავუმატებთ მეურნეობის მართვისათვის გათვალისწინებულ ძირითად ფონდებს, მაშინ საერთო შემოსავლიდან კოლმეურნეობის გამომუშავებულ ნორმადღეზე გასანაწილებლად არაფერი დარჩება, მატერიალური დაინტერესების პრინციპიც დაირღვევა.

ჩემი შეხედულებით ასეთი ნაბიჯისათვის, როგორც ამას ეკონომიური მონაცემები ცხადყოფენ, ჯერჯერობით კოლმეურნეობები მომზადებული არ არიან სამეურნეო თვალსაზრისით, ეკონომიურად.

კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ შესასრულებელია ისეთი სამუშაოები, რომლებიც დიდ კაპიტალურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს, და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, კოლმეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რომლის მეოხებითაც საკოლმეურნეო საკუთრება უახლოვდება საბოლოო მიზანს — **საერთო-სახალხო საკუთრებას.**

საკოლმეურნეო ცხოვრების სანიმუშო წესდების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან გადამწყვეტი როლი შეასრულოს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. კოლმეურნეობები უნდა ამზადებდნენ მეტ და მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ამით მთლიანად აკმაყოფილებდნენ კოლმეურნეთა მოთხოვნილებებს. ამის შედეგად კოლმეურნეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში თანდათანობით შემცირდება დამხმარე მეურნეობის (საკარმიდამო ნაკვეთის) როლი.

ამ ამოცანის გადაჭრა გადაუდებელ საკითხად აყენებს კოლმეურნეობათა განვითარებას გაფართოებული რეპროდუქციის გზით. ეს კი მოითხოვს განუყოფელი ფონდის განუწყვეტლივ გადიდებას, რაც მოხმარდება კოლმეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას.

როცა საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობას მოჰყვება სასოფლო-სამეურნეო არტელის საკუთრების განვითარება საერთო-სახალხო საკუთრებასთან მის შეერთებაში, მაშინ შეიქმნება რეალური პირობები ზემოაღნიშნული წინადადების განხორციელებისათვის.

**სტატიაში წამოყენებული წინადადებანი — საკარმიდამო ნაკვეთის უზომოდ განსაზღვრა, გაზრდილი უფასო მომსახურება, პირუტყვის უნორმოდ ყოლა და ზოგიერთი სხვა, ხელს ვერ შეუწყობს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას.**

კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის, შრომით კოლმეურნეთა დაინტერესების, მათი შემოქმედებითი უნარის ამაღლების საფუძველია შრომის სწორი, მაღალი ანაზღაურება. სოციალიზმის ეს პრინციპი ამ ეტაპზე ყოველმხრივ სრულყოფილად უნდა წარმოსდგეს.

შრომის ანაზღაურების წესი თანდათანობით უნდა განვითარდეს ისე, რომ შემცირდეს სხვაობა მეჩაის, მესიმინდის, მეცხოველის შრომის ანაზღაურებას შორის. ჯერჯერობით აქ დიდი სხვაობაა: ერთი ჰექტარი ყანის გათოხნაში, რომელსაც 10-12 დღე სჭირდება, კოლმეურნე იღებს 25 მანეთსა და 50 კაპიკს, ხოლო ამავე დროში მეჩაიე ყოველდღე ასრულებს ნორმას და 54 მანეთსა და 50 კაპიკს იღებს, ესე იგი ორჯერ მეტს.

**ჩაის ფოთლის კრეფაზე ნაკლებად მძიმე სამუშაო როდია ყანის თოხნა ან პირუტყვის მოვლა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. შრომის ანაზღაურების წესი ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა დარგის მუშაკს აამაყოფილებდეს.**

ცუდი არ იქნებოდა, თუ შემოვიღებდით შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიალურ სისტემას. ეს ფორმა უფრო პროგრესულია. კოლმეურნემ წინასწარ იცის, გარკვეულ სამუშაოებში რას მიიღებს ძირითადი ანაზღაურებით და პრემიის სახით. ამჟამად აკორდულ-პრემიალური სისტემის დანერგვის ყველა პირობა არსებობს.

ორიოდე სიტყვა კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ. სწორად არ მიმაჩნია საშემოსავლო გადასახადის დაწესება მიწის რაოდენობის მიხედვით.

საშემოსავლო გადასახადის ამჟამად არსებული წესი უთუოდ მხარდაჭერის ღირსია, და აი რატომ. ის არ შემოიფარგლება მარტოოდენ კოლმეურნეობისაგან ფულის გადახდით. იგი ავლენს მოწინავე და ჩამორჩენილ მეურნეობას. ვინ როგორი მაჩვენებლებით დაამთავრა სამეურნეო წელი — ზარალით თუ მოგებით. ეკონომიურ ანალიზს უკეთებს მეურნეობას და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებას ითვალისწინებს. მისი უარყოფა და სხვა რომელიმე ფორმით შეცვლა უსაფუძვლოა.

ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რომ მიწა ყველგან არ არის ერთნაირი ნაყოფიერების მქონე. მისი ეკონომიური შეფასებისათვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ საერთო პროდუქცია და წმინდა შემოსავალი.

მიწის შეფასება საერთო პროდუქციის მიხედვით საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მისი ფასი, როგორც წარმოების საშუალებისა ფართობის ერთეულზე მიღებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. ეს მაჩვენებელი აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომისათვის წარმოების მოცულობის დაგეგმვის დროს ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე და მიწის რაციონალური გამოყენებისათვის. წმინდა შემოსავლის მიხედვით მიწის შეფასება საშუალებას გვაძლევს შეფარდებით გამოვსახოთ მისი ფასი შემოსავლიანობის (რენტაბელობის) თვალსაზრისით.

რაც შეეხება კოლმეურნეობების ურთიერთდამხმარე სალაროებიდან სესხების გაცემის საკითხს, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სალაროები კოლმეურნეობაში ახალი არ არის. სალაროები მაშინ იყვნენ ძლიერი, როცა მათი საშუალებები კოლმეურნეობის სახსრებიდან ივსებოდა. მათ დადებითი როლი შეასრულეს ხელმოკლე კოლმეურნეებისადმი ერთდროული დახმარების საქმეში.

ახლა, იქ, სადაც განხორციელდა ყოველთვიური გარანტირებული ფულადი ანაზღაურება, კოლმეურნეებს დაენიშნათ პენსია, ურთიერთდამხმარე სალაროს როლი შემცირდა. მას კოლმეურნეობა თანხას აღარურიცხავს, დადგა მათი ლიკვიდაციის დრო.

**ჩემი აზრით, კოლმეურნეობებმა უნდა აკრძალონ ყველა სახის უფასო მომსახურება, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ბავშვთა ბაგები, საკურორტო საგზურები, ექსკურსიები, კოლექტიური დასწრება კინოფილმებზე და სხვა სახის კულტმომსახურების ღონისძიებანი), რაც საწარმოო-საფინანსო გეგმით უნდა იქნას გათვალისწინებული.**

საჭიროდ მიმაჩნია გადიდდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობა. გამგეობის სხდომების შუალედებში წამოჭრილი გადაუდებელი საკითხები უნდა გადაწყვიტოს თავმჯდომარემ. ეს ხელს შეუწყობს ოპერატიულობას, კოლმეურნეთა საჩივრის ან თხოვნის დროულად გადაწყვეტას.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა, სადაც განიხილავენ და მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ სანიმუშო წესდებას, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში. ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო სასოფლო-სამეურნეო არტელის ერთიანი წესდების უქონლობით გამოწვეულ გაუგებრობებსა და ნაკლოვანებებს.

ერთიანი სანიმუშო წესდება გახდება იმის ქვაკუთხედი, რომ მაღალ დონეზე შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები.



ათობით ადამიანს ეყოფოდა მისი სამეცნიერო ხარისხი, ტიტული და წოდება. ქსენია ბახტაძე არის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ორი აკადემიის — საქართველოსა და ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის საკავშირო აკადემიების წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი ორდენის კავალერი.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა მეცნიერმა გამოიყვანა ჩაის პირველი სასელექციო ჯიშები, „ქართული — № 1" და „ქართული — № 2". მას შემდეგ ბახტაძემ შექმნა კიდევ 17 ჰიბრიდული ჯიშის ჩაი და მათ შორის რამდენიმე ზამთარმედეგი.

დიდია აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დამსახურება სამამულო მეჩაიეობის განვითარების საქმეში. მისმა შრომებმა შესაძლებელი გახადა გავრცელებულიყო ეს ძვირფასი კულტურა აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში და ამიერკარპატშიც კი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიკოს ბახტაძის სახელს იცნობენ მსოფლიოს ყველა მეჩაიეები.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საუკუნის ბერიკაცი

ნარკვევი.



დიდი ზამთარი მოვიდა იმ წელს. თოვლმა ქოხები თითქმის დაფარა, მერე პირველი სტუმარივით მოიკალათა, გზები და ბილიკები გადაკეტა და ისედაც გაღატაკებული გლეხობა ზამთრულში წვითა და დაგვით ძომარაგებულ მცირე ულუფაზე ღასვა. გაუთავებლად ბარდნიდა. სუსხიანმა ქარმაც დაჰბერა. თუმცა თოვლს ვერაფერი დააკლო, მხოლოდ დროდადრო ზურგზე წამოიკიდებდა და ხევხუვებში დააბორიალებდა.

ისეთი ამინდი იდგა, ძაღლს რომ არ გააგდებენ კარში.

...თენდებოდა 1866 წლის პირველი იანვარი.

უცნაური ფორიაქი იყო ჯესიპ თარგილის ყავრით დახურულ ქოხში. ქოხის ერთ კუთხეში მისი მეუღლე თქა იწვა და ტიროდა. მას თავზე მეზობლის ქალები დასტრიალებდნენ.

ოჯახში ახალი სიცოცხლის გაჩენას ელოდნენ.

ჯესიპი მოუსვენრად დაალაჯებდა სამზადში. მამამისი ბუხრის პირას მიმჯდარიყო და ფილთას ტენიდა. დიდა ყველას ამშვიდებდა, როგორც კი განმარტოვდებოდა, თავსაფრის ყურით თვალებს იწმენდდა. ეს დიდი სიხარულის ცრემლები იყო, ცოტა შიშისაც.

— უვა!.. უვა!.. უვა!.. — სუსტად გაისმა ქოხში. და ამ ხმამ მოლოდინით დამძიმებული და შეკრული ჰაერი ერთბაშად გაჰკვეთა.

— ბიჭია! ბიჭი! — იყვირეს.

თოფი გავარდა. მამამ თითები დაიმტვრია და ხელისგულები ერთმანეთს შემოჰკრა. ბებიას ტირილის აღარ მორიდებია. ეს კი მხოლოდ სიხარულის ცრემლები იყო.

ოთახში დედა იწვა და თვლემდა.

ოთახში ბავშვი სუნთქავდა.

ოთახში სუნთქავდა ახალი სიცოცხლე.

**საუკუნემ** განვლო მას შემდეგ. ასჯერ ჩამოთოვა და ასჯერ აყვავდა იასამანი. ყავრით დახურული პატარა ქოხი იმავე ისე დგას აფხაზეთის სოფელ დურიფშში. წლებს მისთვის თავისი დაღი დაუსვამს, მაგრამ, ჩანს, მზრუნველი კაცის ხელი ეფერება და მისი კედლების სითბოს ინახავს. თუმცა ახლა ის ძველი ცხოვრების სიდუხჭირის თუ კეთილ ამბავთა ტკბილმოსაგონრად შემოუნახავთ.

ვინ იცის რამდენი რამ აკავშირებს მასთან საუკუნის ბერიკაცს მახთი თარგილს.

...უეცრად გარდაიცვალა ჯესიპი. მახთი მაშინ ხუთი წლისა იყო. წლებზე ფეხს იდგამდა შრომისა და ოჯახის მოყვარე ქალი და სამ მცირეწლოვან ბავშვს ზრდიდა. შვილებსაც პატარაობიდანვე შეაყვარა შრომა და პატიოსნება. თვალში ცრემლჩამდგარი იგონებს მოხუცი დედას.

— მისმა სიყვარულმა მაცოცხლა ამდენ ხანს და მისი სითბო ახლაც თან დამდევს. — იტყვის ხოლმე იგი საუბარში.

აღარც თქას უცოცხლია დიდხანს და ბავშვები თავის ანაბარა დარჩნენ.

— ერთი მიწალა დარჩა ჩემი მეგობარი, და მეც დილიდან საღამომდე მას ჩავცქეროდი, ის იყო ჩემი გამრთობიც და მარჩენალიც. მოგვყავდა ცოტაოდენი რამ, მაგრამ გასაღებას ვერ ვახერხებდით. ჩავქქონდა ჩვენი ნაოფლარი გუდაუთაში, იქ ერთ ფუთ სიმინდში ვაჭრები სამ არშინ ფართალს გვაძლევდნენ... ასეთი იყო ცხოვრება, და ჩვენც მის დინებას მივყვებოდით. — გვიამბობს მოხუცი.

...მერე ოჯახსაც მოეკიდა. მტერი და მოყვარე გაუჩნდა. კაცურ კაცად იცნეს და მის მეზობლობას პატივს სცემდნენ. პატარა ნაკვეთზე ხეხილი ჩაყარა, კვიპაროსები დარგო... ოჯახურმა სითბომ ძალღონე შემატა.

**...ნახევარ** საუკუნეს იყო გადაცილებული მახთი თარგილი, როცა ახალი ცხოვრების სიომ დაჰბერა. ჯანღონით სავსე ჯიგიტმა თოფი აიღო ხელში და გლეხთა რაზმებთან ერთად ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მტრებს რისხვად მოევლინა. სჯეროდა ვაჟკაცს, რომ იგი მომავალი თაობის უკეთესი მერმისისათვის იბრძოდა.

რომელი ცხოვრება გირჩობთ-მეთქი, საუბარში ხუმრობით ჩავეკითხე მოხუცს. შევატყე, არ ესიამოვნა და მინდოდა კითხვა სხვაგვარად დამესვა, მაგრამ...

— ოქროთი ვშლი შენს სიტყვას, — მითხრა მან, თან ამიხსნა, როცა კაცს სიტყვას ვაწყვეტინებთ, ასე ვამბობთო, და განაგრძო: — ჩვენ კარგახანია დავმარხეთ ძველი და ცხოვრება ახლებურად დავიწყეთ. მე — დროულ კაცს არც მინახავს და არც გამიგია, ოდესმე, სადმე ვინმეს უკეთ ეცხოვროს. ეს ომი რომ არა... ომმა ბევრი რამ წაგვართვა, პირველ რიგში ადამიანები. — მოხუცი წამოდგა, ხელი ჩამავლო და კედელთან მიმიყვანა. კედელზე მხარბეჭიანი ვაჟკაცის სურათი ეკიდა. მას ერთი ხელი ფართო სამხედრო ქამარში გაეყარა და იღიმებოდა. მკერდზე წითელი ვარსკვლავი უბრწყინავდა. სურათს თვალი მოვაშორე და მოხუცს გავხედე. მისი თვალებიც ბრწყინავდნენ, ცრემლით ჰქონდა სავსე. ცრემლი ხანდახან ვაჟკაცსაც შვენის.

— ეს ჩემი უფროსი ვაჟი როდიონია. ის რომ არ დამღუპოდა, ვინ იცის რამდენი წლის სიცოცხლე მომემატებოდა.

შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულში თითქოს ჩაიკლეს მახთიმ და შამიმ უფროსი ვაჟის დაღუპვით გამოწვეული მწუხარება, მაგრამ ეს ისეთი ნაღველია, რომელიც მშობლის გულს არასოდეს არ სცილდება.

**ხუთი** შვილი გაზარდეს მახთიმ და შამიმ — სამი ვაჟი, ორი ქალიშვილი, გაზრდაც არის და გაზრდაც. მახთიმ თავისი ახალგაზრდობა ტანჯვასა და წამებაში გაატარა. სურდა მის შვილებს ქვეყნად შუბლგახსნილებსა და წელგამართულებს ევლოთ. ამისათვის არაფერი დაიშურა და შეძლო კიდეც. ხუთივეს განათლება მიაღებინა, შრომისა და პატიოსანი ცხოვრების ჩვევები შთაუნერგა. და ახლა მათ კარგ კაცობაზე მეზობლები ხშირად იტყვიან ხოლმე, სხვაგვარად ვერც წარმოგვედგინა მახთი თარგილის ნატამალიო.

და აი, ბედნიერი კაცია მახთი თარგილი, ტკბილი სიბერე დაუდგათ მას და მის მეუღლეს. შვილებმა იმედი გაუმართლეს და ამით არიან ბედნიერნი. ქალები დათხოვდნენ, ვაჟებიც დაქორწინდნენ. მხოლოდ უმცროსი არ მოჰკიდებია ოჯახს და მის ქორწილში მახთი ცასა და ქვეყანას ეპატიჟება.

ცამეტი შვილიშვილი ჰყავს მახთის. არც ისინი არცხვენენ პაპას სახელს.

— დიდად ბედნიერი ვარ, როცა ჩვენს ახალგაზრდობას ვხედავ — თქვა მახთიმ. — მიხარია, რომ კარგები არიან. ყველა კაცის, კაცური კაცის სურვილია ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იყოს.

...ყავრით დახურული ძველი პატარა ქოხის გვერდით თეთრად შეფეთქილი ორსართულიანი ქვიტკირის სახლები წამოჭიმულან. ამ სახლებში მახთი და მისი ჯალაბი ცხოვრობს. სახლს უკან ხეხილი და იზაბელა გაუშენებიათ, გვერდით დაფნის პლანტაცია გადაჭიმულა. ყველაფერს გლეხკაცის მზრუნველი ხელი ატყვია.

**ყველაზე** ადრე გადის მახთი შინიდან და ყველაზე გვიან ბრუნდება. ჯანმაგარ გლეხკაცს თვალიც, მკლავიც და მუხლიც ძველებურად უჭრის. შრომაში არავის ჩამოუვარდება, მხოლოდ ჩაის კრეფაში მეუღლე სჯობნის. წელს შამიმ ტონანახევარზე მეტი ჩაი მოკრიფა, თუმცა მახთი ბევრით არ ჩამორჩენია.

ცხენოსნობაში ვერ დასჯაბნით განთქმულ ჯიგიტს. იგი ძველებური გატაცებით მოახტება ხოლმე ცხენს და კუნთმაგარი მკლავით აღვირს მოქაჩავს. ცხენიც გრძნობს მხედრის ძალას და ემორჩილება მის ნებას.

— ვინც კი იმ ქვეყნად წავიდა, უკან არავინ დაბრუნებულა. ამიტომ გადავწყვიტე აქ ყოფნა, არსად არ მეჩქარება, — იტყვის ხოლმე მახთი ხუმრობით, როცა სიტყვა მის ხნოვანებაზე ჩამოვარდება.

სტუმართმოყვარე და ხელგაშლილია მახთი თარგილი. ვინ იცის, რამდენი კაცი მიუღია მის ჭერს, ყველას გულღიად და სიყვარულით ხვდება ბერიკაცი, უხვად და მადლიანად უმასპინძლდება, მაგრამ მისგან წასულებს ყველაზე მეტად მაინც მისი იუმორნარევი სიბრძნე მიჰყვებათ და სამუდამოდ ამახსოვრდებათ.

— მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, — გვიამბობს მახთი, — მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა, მეცხოვრა, მყოლოდა ოჯახი, მქონოდა სახლი და მტერს და მოყვარეს კაცურად დავხვედროდი. ამას მოვესწარ და რაღა დროს სიკვდილზე ფიქრია. სიცოცხლე აწი უფრო სანატრელია.

ვინ იცის-მეთქი რამდენი სტუმარი მიულია მის ჭერს და თუძეს... და აი ამ ცოტა ხნის წინათ მახთი თარგილს, მისივე თხოვნით, გამოჩენილი მსახიობი აკაკი ხორავა ეწვია. მახთის ოჯახში დღესასწაული იყო. მასპინძელმა ჩვეულების თანახმად ძვირფასი სტუმარი თავის მეექვსე ვაჟიშვილად მიიღო.

— გადაეცით ჩემს შვილს აკაკის, — დაგვაბარა მოხუცმა, — მას, სამოცდაათი წელი შეუსრულდა, მე მასზე სამი ათეულით მეტი ხნისა ვარ, სამჯერ სამოცდაათი რომ შეუსრულდება, ჩემთან მოვიდეს და კიდევ გავუგრძელებ.

...მახთიმ შვილიშვილს რაღაც ანიშნა. შვილიშვილმა მწყემსის ჯოხი მოურბენინა, პაპამ ჯოხი ჩამოართვა, ჩვენი ყურადღება ითხოვა და დაიწყო, დაიწყო „ახალწლის ღამის ზღაპარი"...

**ცხოვრობდა** ქვეყნად ორი მეფე — კეთილი და ბოროტი. მათ სამეფოებს მხოლოდ ერთი მდინარე ჰყოფდა. ძლიერი იყო კეთილი მეფის ქვეყანა. შურით ივსებოდა ბოროტი მეფე.

და ერთხელ შეიტყო მეფემ ბოროტმა, რომ კეთილი მეფის ფარაში იყო ცხვარი ბაჩი — სამეფოს ძლიერების მიზეზი, რომელსაც კეთილი და პატიოსანი მწყემსი სდარაჯობდა. არავის არ ახსოვდა, რომ ამ მწყემსს ოდესმე ტყუილი ეთქვას. მეფესაც სჯეროდა მისი.

მოუხმო ბოროტმა მეფემ უფროს ქალიშვილს, დაავალა წასულიყო მწყემსთან, მოეხიბლა იგი და რაღაც უნდა დასჯდომოდა იმ ცხვრის თავი მამისათვის მოეტანა.

როგორ არ ეცადა უფროსი ქალიშვილი, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.

მაშინ მეფემ შუათანას მოუხმო. მოვიდა შუათანა. უბრძანა მეფემ წასულიყო მწყემსთან, მოეხიბლა იგი და თავისი თავი ბაჩის თავში გაეცვალა.

ბევრი ეცადა შუათანაც, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

მეფემ უმცროსი ქალიშვილი მოაყვანინა. იგი ყველაზე მეტად ჰყავდა მამას. იყო ბოროტი, ჭკვიანი და თანაც ულამაზესი.

ახალწლის ღამეს მწყემსს ღვთისმშობლის სახით მოევლინა ლამაზი ასული. შებოჭა იგი, გონება აურია და დაიმორჩილა.

— დაკლა მწყემსმა ბაჩი.

გათენდა ახალწლის დილა.

ბოროტმა მეფემ ვეზირს უხმო და უბრძანა გაემზადებინა უხვი და ძვირფასი ძღვენი. სურდა ხლებოდა კეთილ მეფეს და მისთვის ახალი წელი მიელოცა. ეახლა ბოროტი მეფე კეთილს, მიართვა ძღვენი, მიულოცა ახალი წელი და უთხრა:

— მეფეო, შენი მწყემსი ტყუის.

— ჩემი მწყემსი არასოდეს არ ტყუის. — მიუგო კეთილმა მეფემ.

— თუ კი ტყუის, დაგთმობ შენს ტახტს და შენს სამეფოს ჩემსას შემოუერთებ.

— იყოს ნება შენი. ხოლო თუ ჩემი მწყემსი არ ტყუის, შენს ტახტს იმას დაუთმობ, შენ კი ჩემს ფარას უდარაჯებ.

შეთანხმდნენ.

კეთილმა მეფემ იხმო მსახური და უბრძანა მწყემსის მოყვანა.

შეიტყო მწყემსმა მეფე მიბარებსო და დაღონდა. ეთქვა სიმართლე თუ არა? მაშინ აიღო თავისი განუყრელი მეგობარი — მწყემსის ჯოხი, მიწაში ოდნავ ჩაასო და თქვა:

— ხელს გავუშვებ, და თუ ჯოხი ჩემკენ გადმოვარდება, სიმართლეს ვიტყვი, თუ ჩემგან იქით, მაშინ — ტყუილს.

სამჯერ სცადა მწყემსმა და სამჯერვე მისი მეგობარი მის მკერდს ჩაეკრა.

მაშინ თამამად გასწია მწყემსმა მეფისაკენ. ეახლა მას და სიმართლე უამბო.

დასვეს კეთილი მწყემსი ბოროტი მეფის ტახტზე და ამ დღის შემდეგ ქვეყნად კეთილმა დაისადგურა.

მეფე არასოდეს არ იცილებდა თავის ჯოხს.

ამ ჯოხს მერე კვერთხი უწოდეს.

ვინ იცის რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რამდენჯერ ჩაუვარდა ხელში კვერთხი ბოროტ მეფეებს, მაგრამ მათ ხელში ის ძალას კარგავდა, უბრალო ჯოხად იქცეოდა.

• • •

**მოხუცმა** ზღაპარი დაამთავრა, ოდნავ დაისვენა და განაგრძო:

— ეს ზღაპარი ძველთაგან გამიგონია და ჩემი ცხოვრების გზას ძინათებდა. იგი მე ალბათ მხოლოდ შვილებისა და შვილიშვილებისათვის მიამბნია, ახლა კი მინდა ყველამ გაიგოს, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ და იცოდნენ, რომ ბოროტება კეთილთან ვერას გახდება და რომ ტყუილი ყველაზე დიდი ბოროტებაა.

**დ. შენგელია.**
„კომუნისტის" სპეც. კორ.
ქ. სოხუმი.



# დიდი აგროქიმიკოსი



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი მ. გიორგაძე და ქობულეთის რაიონის გვარას კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. პაპუნაშვილი გვთხოვენ ვუპასუხოთ კითხვაზე: როგორია საბჭოთა კავშირში აგროქიმიური სკოლის ფუძემდებლის აკადემიკოს დ. პრიანიშნიკოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ თემაზე პროფ. ი. სარიშვილის სტატიას.

მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, დიდი აგროქიმიკოსი დ. პრიანიშნიკოვი დაიბადა 1865 წელს ქ. კიახტაში (ირკუტსკის ოლქი). მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა კიახტასა და ირკუტსკში, სადაც იმ დროს, მეფის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა გადასახლების გამო, საზოგადოებრივი ატმოსფერო უფრო მეტად იყო გაჟღენთილი დემოკრატიული იდეებით, ვიდრე რუსეთის სხვა მხარეებში. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა ახალგაზრდა დ. პრიანიშნიკოვის მომავალი პროგრესული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

დ. პრიანიშნიკოვმა 1883 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ირკუტსკის გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. აქ იგი დიდი გატაცებით შეუდგა მეცადინეობას. მისი სადიპლომო შრომა იყო „შავმიწების წარმოშობის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა".

უნივერსიტეტში მის მიერ ასეთი აგრონომიული ხასიათის თემის არჩევა შემთხვევითი როდი იყო. ეს გამოხატავდა მის მისწრაფებას სოფლის მეურნეობის მეცნიერების შესწავლისადმი. ამიტომ იგი არ კმაყოფილდება უნივერსიტეტის კურსის დამთავრებით და შედის პეტროვსკის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემიაში, სადაც მესამე კურსიდან აგრონომიას სწავლობს. აქ მან უფრო მეტად გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და შრომის უნარი, რის გამო, ჯერ კიდევ აკადემიის დამთავრებამდე, როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, მას აკადემიის საბჭო უნიშნავს სახელმწიფო სტიპენდიას და ტოვებს აკადემიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად.

დ. პრიანიშნიკოვი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი მიდრეკილებას თავიდანვე იჩენდა. 1889 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, მან წარმატებით განახორციელა მინდვრისა და სავეგეტაციო ცდები ბორისოგლებსკის მამულში (ვორონეჟის გუბერნიაში) შაქრის ჭარხლის კვებისა და სასუქების გამოყენების საკითხზე. ხოლო 1890 წელს სწავლობდა სოფლის მეურნეობის წარმოების საკითხებს ვოლგისპირეთსა და ამიერკავკასიის სუბტროპიკულ რაიონებში. ამ პერიოდში დაწერა სტატია „ნიადაგის ღრმად დამუშავების მნიშვნელობის შესახებ ვოლგისპირეთის რაიონებში", რომელიც დღესაც დიდ ყურადღებას იპყრობს.

1892-1894 წლებში დ. პრიანიშნიკოვი მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ, სადაც ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა: გეტინგენში — ა. კოხის, პარიზში — ე. დიუკლოსა და ციურიხში — ე. შულცეს ლაბორატორიებში. ციურიხში იგი აწარმოებდა დამოუკიდებელ გამოკვლევას ცილოვანი ნივთიერების გარდაქმნაზე მცენარეში. მან ახლებურად გააშუქა რთული პროცესები სოფლის მეურნეობის კულტურისათვის ამონიაკური და ნიტრატული ფორმის სასუქების გამოყენებაში.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ დ. პრიანიშნიკოვი იწყებს მუშაობას მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში მემცენარეობის კათედრაზე. აქ იგი კითხულობს კერძო მიწათმოქმედებისა და სასუქების კურსს. მისი ინიციატივით მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადმოტანილ იქნა ნიჟნი ნოვგოროდის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სავეგეტაციო სახლი. ეს სავეგეტაციო სახლი შემდეგში გახდა დ. პრიანიშნიკოვისა და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების ექსპერიმენტული ბაზა ფიზიოლოგიური და აგროქიმიური გამოკვლევების საქმეში.

დ. პრიანიშნიკოვის კლასიკური გამოკვლევებიდან აღსანიშნავია შრომები, მიძღვნილი ფოსფორიტებიდან სუპერფოსფატის მიღების, კალიუმის მარილებისა და ნაცრის სასუქად გამოყენებისადმი; აგრეთვე სერია შრომებისა კირის, ტორფისა და მწვანე სასუქების რაციონალურად გამოყენების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, რევოლუციამდელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა იმდენად იყო ჩამორჩენილი, რომ სამეცნიერო მიღწევების რეალიზაცია არ ხერხდებოდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი აღნიშნული მიღწევების ფართოდ დანერგვა სოფლის მეურნეობის წარმოებაში.

დ. პრიანიშნიკოვი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ჩვენს ქვეყანაში სასუქების პირველი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში, რაც 1919-1931 წლებში განხორციელდა. 1916 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი შრომა — „ამიაკი მცენარეებში აზოტოვან ნივთიერებათა ცვლის ალფა და ომეგაა". ამ ნაშრომმა შექმნა ახალი ეტაპი აგრონომიული ქიმიის, ბიოქიმიისა და მცენარეთა ფიზიოლოგიის განვითარებაში.

დ. პრიანიშნიკოვმა გამოარკვია საკითხი ზოგჯერ ამონიაკური სასუქების ნაკლები მოქმედებისა გვარჯილასთან შედარებით.

მცენარეთა მიერ ხელსაყრელ პირობებში ამონიაკის ენერგიულმა შეთვისებამ დადასტურება ჰპოვა თანამედროვე გამოკვლევებში წონადებული ატომების მეთოდის გამოყენებით. დ. პრიანიშნიკოვის ნაშრომები მცენარეთა აზოტური კვების შესახებ საყოველთაოდ იქნა აღიარებული და ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და აგროქიმიის სახელმძღვანელოებში შევიდა. ამ საკითხების შესახებ დ. პრიანიშნიკოვმა გამოაქვეყნა მონოგრაფია: „აზოტი მცენარეთა სიცოცხლეში და საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედებაში", რომელიც გამოცემულ იქნა 1945 წელს. ამ შრომას გამოცემისთანავე მიენიჭა კ. ტიმირიაზევის სახელობის პრემია.

ჩვენს ქვეყანაში დიდი რაოდენობით მოიპოვება ფოსფორიტები, მაგრამ ძირითადად მცირე რაოდენობით შეიცავენ ფოსფორს და ყოველთვის არ შეიძლება მათი გამოყენება ადვილადხსნადი ფოსფორიანი სასუქების დასამზადებლად. ამ მიმართულებით მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს დ. პრიანიშნიკოვმა და მისმა მოწაფეებმა. სხვადასხვა კულტურულ მცენარეთა გამოცდამ მათ აჩვენა, რომ მხოლოდ ზოგიერთ მცენარეს შესწევს უნარი თავისი ფესვების მჟავე გამონაყოფით გახსნას ფოსფორი და გადაიყვანოს შესათვისებელ ფორმაში.

დ. პრიანიშნიკოვის ლაბორატორიაში შემუშავებულ იქნა ფოსფორიტის ფქვილის ტორფთან დაკომპოსტების მეთოდი. ამან გამოიწვია ორივე სასუქის ეფექტურობის მნიშვნელოვანი გადიდება. ასევე ფართო გავრცელება ჰპოვა ფოსფორიტის ფქვილის დაკომპოსტებამ ნაკელთან. აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რაც დ. პრიანიშნიკოვმა გასწია აზოტიანი სასუქის — ამონიუმის გვარჯილის ფიზიოლოგიური მჟავიანობის გამოსარკვევად.

ქიმიური მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად დ. პრიანიშნიკოვი ენერგიულად მოითხოვდა ადგილობრივი სასუქების, კერძოდ ნაკელის, ტორფისა და მწვანე სასუქების ფართოდ გამოყენებას. მის ლაბორატორიაში შესწავლილ იქნა ადგილობრივი სასუქებისა და პარკოსანი მცენარეების გამოყენების ხერხები. დიდი მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნაკელს, როგორც აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის მთავარ წყაროს.

თუ ნაკელი მცირეა, ამბობდა ის, მოსავალიც ცუდია, არ არის საკმარისი საკვები, ცოტაა პირუტყვი, მაშასადამე, ხელახლა მცირეა ნაკელი. მან დეტალურად შეისწავლა ტორფის სასუქად გამოყენების მონაცემები, ცდებით დაამტკიცა, რომ ტორფის ნაცართან, წუნწუხთან და ფეკალთან დაკომპოსტება იწვევს ტორფის გადაქცევას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში.

დღეისათვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით იყენებენ ტორფოკომპოსტებს, რაშიაც უეჭველად დიდია დ. პრიანიშნიკოვისა და მისი მოწაფეების დამსახურება.

დ. პრიანიშნიკოვმა დიდი მუშაობა გასწია სიმინდის კულტურის განვითარების საკითხებზე. იგი აღნიშნავდა ამ კულტურის სარგებლიანობას, აწარმოებდა ცდებს ორი და მეტი მოსავლის მისაღებად, აყენებდა იმ საკითხს, რომ სელექციის გზით გამოეყვანათ სიმინდის ისეთი ჯიშები, რომლებიც ჩრდილოეთის მკაცრი ბუნების პირობებს გაუძლებდნენ. დ. პრიანიშნიკოვის კალამს ეკუთვნის 550-ზე მეტი სახელწოდების ნაშრომი, რომლებიც თითქმის მთლიანად მიძღვნილია აგრონომიული საკითხებისადმი.

დ. პრიანიშნიკოვის იდეებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე საქართველოში. ამის შედეგად ჩვენ დღეს დიდი მიღწევები გვაქვს სასუქების გამოყენებისა და ნიადაგის განოყიერების საქმეში. ქართველმა აგროქიმიკოსებმა შეიმუშავეს სასუქების გამოყენების ისეთი მეთოდები, რომელთა განხორციელებით, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში, ჩაის მოსავალი 500-600 კილოგრამიდან 5.000-6.000 კილოგრამამდე და მეტადაც გადიდდა. ასეთივე მიღწევებია მოპოვებული სხვა კულტურების განოყიერების საქმეში.

ბევრი ქართველი აგროქიმიკოსი დ. პრიანიშნიკოვის უშუალო მოწაფე იყო და მის ცნობილ ლაბორატორიაში მუშაობდა. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა შალვა ცინცაძემ დ. პრიანიშნიკოვის ლაბორატორიაში შეიმუშავა აგროქიმიურ და ფიზიოლოგიურ გამოკვლევებში ფართოდ აღიარებული მცენარის ნორმალური საკვები ხსნარები, რომლებიც დღეს მსოფლიოში ცნობილია შალვა ცინცაძის ხსნარების სახელწოდებით.

დ. პრიანიშნიკოვი რამდენჯერმე იყო საქართველოში. პირველად სამკურნალოდ ჩამოვიდა სოხუმში 1889 წელს. მაშინ იგი დიდად დაინტერესდა შავი ზღვის სანაპიროებზე სუბტროპიკული კულტურების განვითარების საკითხებით. უკანასკნელად დ. პრიანიშნიკოვი საქართველოში ჩამოვიდა 1935 წელს. საფუძვლიანად გაეცნო სასუქებისა და ნიადაგმცოდნეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ლაბორატორიის მუშაობას. საქმიანი საუბარი ჰქონდა ქართველ ნიადაგმცოდნეებთან და აგროქიმიკოსებთან. იყო ბათუმში, სალიბაურში, ჩაქვში, ნატანებში, აგრეთვე ანასეულში (მახარაძე) ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ყველგან, სადაც კი იყო, მან სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცა ჩვენს მეცნიერებს, მეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებსა და რიგით მუშებს.

პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს დ. პრიანიშნიკოვის შრომას. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, სახელმწიფო პრემია, ჰქონდა ექვსი ორდენი. აგრონომიული ქიმიის სამამულო სკოლის შექმნისათვის მას 1945 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. მისი სახელი ეწოდა პერმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, დოლგოპრუდნის საცდელ-სამეცნიერო სადგურს. იგი იყო საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო და საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების სამეცნიერო აკადემიების წევრი. დ. პრიანიშნიკოვი გარდაიცვალა 1948 წლის 28 აპრილს. არაჩვეულებრივი ფართო პროფილის მეცნიერმა, დიდმა პედაგოგმა, ჭეშმარიტად უდიდესი ერუდიციით დაჯილდოებულმა, თავისი მრავალმხრივი მნიშვნელოვანი შრომებითა და აღმოჩენებით გაამდიდრა საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერება, ახალ სიმაღლეზე აიყვანა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა კვების ბიოლოგიის თეორია. ამან დ. პრიანიშნიკოვს თავისი დროის დიდი ადამიანის სახელი მოუპოვა.

**პროფ. ი. სარიშვილი,**
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, აგროქიმიის კათედრის გამგე.

# ქართველ მომღერალს მონღოლეთის მედალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის სახელზე მოვიდა შემდეგი შინაარსის წერილი: „გიგზავნით მედალს „იაპონიაზე გამარჯვებისათვის", რომლითაც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა დააჯილდოვა შალვა სამსონის-ძე მეძველია 1945 წელს იაპონელი იმპერიალისტების განადგურებაში მონაწილეობისათვის.

გთხოვთ გადასცეთ მედალი ამხ. მეძველიას და მიულოცოთ ჯილდო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს სახელით".

წერილს თან ახლდა მედალი „იაპონიაზე გამარჯვებისათვის".

შალვა მეძველია 1940 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. 1941 წელს კი დაიწყო დიდი სამამულო ომი და იგი უშუალო მონაწილე გახდა იმ დიდი ბრძოლებისა, რომლებსაც საბჭოთა ხალხი აწარმოებდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. შალვა ბუნებით მომღერალი იყო, ლამაზი ტემბრის ბარიტონი ჰქონდა და ამიტომ იგი ფრონტის წითელარმიელთა ანსამბლში გადაიყვანეს მომღერალ-სოლისტად. თუმცა ამავე დროს შაშხანისათვის ხელი არ გაუშვია.

1945 წელს მონღოლეთში იგი მონაწილეობას იღებდა იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლით გადაიარა პატარა და დიდი ხინგანის უწყლო და გაუვალი მთები, რისთვისაც დაიმსახურა მთავარსარდლობის მადლობა და მთავრობის ჯილდო „საბრძოლო დამსახურებისათვის".

შ. მეძველია ხშირად უშუალოდ ფრონტის ხაზზე მღეროდა მებრძოლებისათვის. მღეროდა სამშობლოზე, პარტიაზე, პოპულარულ წითელარმიულ სიმღერებს, ქართულ და რუსულ კლასიკურ რომანსებს.

იაპონელთა განდევნის შემდეგ ანსამბლი, რომელშიც იგი ირიცხებოდა, კონცერტებით მოემსახურა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობას და რევოლუციური არმიის მებრძოლებს.

დამთავრდა სამამულო ომი. შ. მეძველია თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. 1946 წელს იგი შედის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტია.

და აი დღეს ოპერის დირექციამ, პარტორგანიზაციამ, ადგილკომმა და ამხანაგების ფართო წრემ სამამულო ომის ვეტერანს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს შ. მეძველიას გულთბილად მიულოცეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ჯილდო — მედალი „იაპონიაზე გამარჯვებისათვის".

ნ. სვანიშვილი.

მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლას, რომელსაც უკვე 21 წელია ხელმძღვანელობს ელენე უგრეხელიძე.

სკოლის ბიბლიოთეკის ფონდში 9 ათასამდე წიგნია. რვაასამდე მკითხველი სისტემატურად სარგებლობს წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით. სკოლის პედაგოგიური კოლექტივის დახმარებით აქ ხშირად იმართება მკითხველთა კონფერენციები, ხმამაღლა კითხვის საღამოები, ლექცია-საუბრები და სხვ.

ბიბლიოთეკა მოსწავლეთა დიდი სიყვარულით [illegible] სარგებლობს.



სურათზე: თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# კიევის კორტებზე

გუნდური ასპარეზობის შემდეგ კიევში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები ჩაებნენ პირად შეჯიბრებაში.

ერთეულთა შეხვედრებიდან ქალთა შორის შეუპოვარი აღმოჩნდა მოსკოველ ჩალკოსა და თბილისელ ივანოვას ორთაბრძოლა. გაიმარჯვა ჩალკომ 4:6, 6:3, 9:7 და მეოთხედფინალში გავიდა. მეოთხედფინალის წყვილები ასე გამოიყურებოდნენ: სიმსონი-ტარანოვა, მოროზოვა-ბაკშეევა, არყანაძე-კული, ჩალკო-კივი.

გუშინ ამ შეხვედრებში გაიმარჯვეს — სიმსონმა, ბაკშეევამ, კულიმ და კივიმ. ისინი ნახევარფინალში გავიდნენ. ვაჟთა შორის ნახევარფინალში მოვხდნენ — ლეიუსი, ივანოვი, ეგოროვი. მეტრეველისა და სივოხინის შეხვედრა გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

## იმედი მაინც არის

ევროპის ჩემპიონთა თასების გათამაშებაში როგორც კალათბურთელებს, ისე ფრენბურთელებს მალე გადამწყვეტი შეხვედრები დაეწყებათ. სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ გამართული მატჩების დაძაბულობა და დრამატიზმი.

ნახევარფინალურ შეხვედრებში წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი კალათბურთელები. კრაკოვში რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდი დამარცხდა ადგილობრივ „ვისლასთან" შეხვედრაში — 53:57 (31:29), ხოლო ათენში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის სპორტსმენებმა წააგეს „აეკის" კლუბთან — 66:74 (30:33). ახლა მხოლოდ შეიძლება საპასუხო შეხვედრების იმედი ვიქონიოთ, რომლებიც 17 თებერვალს გაიმართება რიგასა და მოსკოვში.

სამაგიეროდ გაგვახარეს მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელმა ქალებმა. მათ პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 3:2 დაამარცხეს ბრატისლავის „სლავიის" კლუბის სპორტსმენები. მეტოქეები კვლავ შეხვდებიან 21 თებერვალს მოსკოვში.

(საქინფორმი).

## იტალიაში

იტალიაში დასასრულს უახლოვდება სტუდენტთა საერთაშორისო ასპარეზობა — უნივერსიადა. საბჭოთა მოთხილამურეები და ტრამპლინიდან მხტომელები, რომლებმაც უნივერსიადაზე 8 ოქროს, 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუშინ დილით ნორვეგიაში გაემგზავრნენ.

გუშინ საბჭოთა ჰოკეისტებმა დაამარცხეს ფინეთის გუნდი ანგარიშით 12:2. ამ დღის სიურპრიზს წარმოადგენდა რუმინეთისა და კანადის გუნდების მატჩის შედეგი. გაიმარჯვეს რუმინელებმა 5:0.

## ბრაზილიელთა გეგმები

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი აღარ მალავს, რომ განზრახული აქვს ზედიზედ მესამედ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. ამაზე ნათლად მეტყველებს ნაკრების მომზადების გაფართოებული გეგმები, რომლებიც დაამტკიცა ბრაზილიის სპორტის კონფედერაციამ.

მარტის ბოლოსათვის უფროსი მწვრთნელი ვ. ფეოლა და მისი თანაშემწეები პ. ამარალი და ა. მორეირა შეკრებაზე თავს მოუყრიან ორმოც ფეხბურთელს. თვითეული მათგანი შემოწმებული იქნება ნაკრების ათ ამხანაგურ მატჩში.

ბრაზილიელთა სპარინგ-პარტნიორები საკუთარ მოედანზე იქნებიან: 14 მაისს — ირლანდიის ნაკრები, 15 მაისს — ჩილის ნაკრები, 18 მაისს — კვლავ ირლანდიელები, 19 მაისს — ჩილის ფეხბურთელები, 4 ივნისს — პარაგვაელები, 5 ივნისს — პოლონეთის ნაკრები, 7 ივნისს — პარაგვაის გუნდი, 8 ივნისს — პოლონეთის გუნდი, 12 და 15 ივნისს — ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები.

22 უძლიერესი ფეხბურთელი 18 ივნისიდან ევროპაში გაემგზავრება. 25 ივნისს ჩემპიონი შეხვდება შოტლანდიის გუნდს, ხოლო 2 ივლისს — შვეციის ნაკრებს. ჩემპიონატის დაწყებამდე 5 დღით ადრე ბრაზილიელები ლივერპულში ჩავლენ.

## მწვრთნელთა აზრით

კალათბურთში ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრების შემდეგ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტმა პირველობის გათამაშებაში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს მიმართა ტრადიციული კითხვით — „როგორი იქნებოდა თქვენ მიერ შედგენილი ნაკრები?". თვითეულმა მწვრთნელმა წარმოადგინა გუნდი ოთხი მცველის, ოთხი თავდამსხმელისა და ოთხი ცენტრის ვარიანტით.

მცველებში ყველაზე მეტი ხმა (11) მიიღო საკანდელიძემ (თბილისის „დინამო"), თავდამსხმელებში — ვოლნოვმა (ცსკა) — 12 ხმა, ცენტრებში — ლიპსომ (ცსკა) — 12 ხმა.

მცველთა შორის თბილისის დინამოელმა კაზანჯიანმა მიიღო ერთი ხმა. სხიერელი (თბილისის „დინამო") დასახელებული იქნა ორჯერ — თავდამსხმელებში 7 ხმით, ცენტრებში 5 ხმით.

ამრიგად, თორმეტი ხმა მიიღეს — სხიერელმა, ვოლნოვმა და ლიპსომ. თერთმეტ-თერთმეტი ხმა მიიღეს — საკანდელიძემ, პაულაუსკასმა (კაუნასის „ჟალგირისი") და ივანოვმა (ლენინგრადის „სპარტაკი").

ამინდი

# თებერვლის პარადოქსები

თებერვალმა დათბობა და ოცდაათგრადუსიანი ყინვები მოიტანა. პირველ თებერვალს მოსკოველები გუბეებში დააბიჯებდნენ, საბჭოთა კავშირის მთელ ევროპულ ტერიტორიაზე, რიგის სამხრეთით გაზაფხულის ამინდი იყო, წვიმდა და ნისლი იდგა. იქვე გვერდით კი — ლენინგრადის ჩრდილოეთით — 30-40 გრადუსი ყინვები იყო. ასეთმა მეზობლობამ დაუყოვნებლივ იჩინა თავი. ორ თებერვალს სიცივის ნაკადი სამხრეთისაკენ დაიძრა, ხოლო ერთი დღის შემდეგ ცენტრალურ რაიონში ადგილ-ადგილ 30-35 გრადუსზე მეტი ყინვები იყო. მკვეთრად აცივდა უკრაინაში, როსტოვის ოლქსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ყირიმის შავი ზღვის სანაპიროზეც კი ნულზე დაბალი ტემპერატურა იყო. რა თქმა უნდა, ყინვები თებერვალში ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალურ რაიონში ტემპერატურა ნორმაზე 17 გრადუსით დაბალი იყო.

კვირის დამლევს აქ ყინვებმა იკლო. უკრაინაში, როსტოვის ოლქში ლღვობა დაბრუნდა. მაგრამ არცთუ დიდი ხნით. 8 თებერვალს საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში სიცივე კვლავ შეტევაზე გადმოვიდა.

თებერვალი არა მარტო ყინვების, არამედ აგრეთვე ქარბუქის თვეა. ტემპერატურის რყევას აქ თან ხდევდა დიდი თოვა. 11-12 ბალი ქარიშხლები მძვინვარებდა 6 თებერვლის წინაღამეს კასპიის ზღვაზე აფშერონის ნახევარკუნძულის რაიონში. სიცივე მძაფრად ებრძოდა სითბოს. მაგრამ საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთ რაიონებსა და ციმბირში ზამთარი თავის პოზიციებს არ თმობდა, იმიტომ რომ ციკლონების გზები მნიშვნელოვნად უფრო სამხრეთით გადიოდა. აქ 30-40 გრადუსი ყინვები იყო, იაკუტიაში კი — 50 გრადუსი.

ერთ-ერთი ასეთი ციკლონი, რომელიც 1 თებერვალს მონღოლეთის თავზე წარმოიშვა, აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა. 2 თებერვალს გობის უდაბნოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში მან ქარიშხლები და მტვრის ქარბუქი გამოიწვია. დიდ სიმაღლეზე ატანილი მტვრის კოლოსალურმა რაოდენობამ 3 თებერვალს ციკლონთან ერთად საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონება[illegible]მდე მოაღწია. ხაბაროვსკის მხარის სამხრეთი ნაწილის მცხოვრებნი ხედავდნენ, ლეგა-ყვითელმა ღრუბლებმა ცა რომ დაფარა, და დილის 10-11 საათზეც კი ბინდბუნდი უკან არ იხევდა.

ამ ციკლონმა გამოიწვია ქარიშხლები ოხოტსკის ზღვაში, კურილის კუნძულზე.

ჩვენი ქვეყნის ცვალებადი ამინდისაგან განსხვავებით ევროპაში შედარებით მყუდროება იყო: სუსტი ყინვები ღამით, ლღვობა — დღისით. მხოლოდ სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ციოდა.

რას მოიტანს თებერვლის მეორე კვირა? სიცივეები კვლავ შემოიჭრება საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე, უკრაინაში, მოლდავეთში, როსტოვის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში და ქვემო ვოლგაზე. როგორც წინა აცივება, ახლანდელიც ინტენსიური, მაგრამ ხანმოკლე იქნება. ერთი-ორი დღის შემდეგ ყინვები დაიკლებს. სამხრეთში დათბება.

კვირის დამდეგს დათბება დასავლეთ ციმბირსა და ყაზახეთის ჩრდილოეთ რაიონებში. მაგრამ შემდეგ საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიიდან სიცივე შეაღწევს, და ტემპერატურა კვლავ დაიწევს. თბილი ჰაერი კი აღმოსავლეთისაკენ წავა და კრასნოიარსკის მხარის სამხრეთში, ირკუტსკის ოლქში ყინვებს შეანელებს. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ამინდი ნაკლებად შეიცვლება. იაკუტიაში 40-50 გრადუსი ყინვა იქნება.

მ. მინეევა,

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

# ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავის საიუბილეო კომისია

მიმდინარე წლის მაისში აღინიშნება ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავი.

დღესასწაულის მოსამზადებლად და მოსაწყობად შეიქმნა საიუბილეო კომისია სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. დოლიძის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში არიან გ. კუპრავა, თ. გორდელაძე, ი. მ[illegible]სხიშვილი, მ. ჭიაურელი, ლ. აბაშიძე, გ. ასათიანი, რ. ჩხეიძე, ბ. ქლენტი, დ. თორაძე, ლ. გუდიაშვილი, ვ. ჭიაურელი, კ. გოგოძე, ს. ზაქარიაძე, დ. ანთაძე, გ. გიგოლაშვილი, ა. კვლივიშვილი, ქ. ბეჭვაია, ნ. სანიშვილი, ე. შენგელაია, გ. კალატოზიშვილი, შ. გაგოშიძე.

ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართება მიმდინარე წლის 23 მაისს სპორტის სასახლეში.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნების მუშაკები.

თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მოკავშირე რესპუბლიკებში მოეწყობა ქართული კინოხელოვნების დეკადები, გამოიცემა ილუსტრირებული ფერადი ბუკლეტები ქართული კინოს მსახიობებსა და რეჟისორებზე. აღდგენილია ქართული კინოხელოვნების გარიჟრაჟზე შექმნილი ფილმები.

ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავისათვის მზადება წარიმართება კინოფილმების იდეური და მხატვრული დონის შემდგომი ამაღლების, კინოქსელის გაფართოებისა და სრულყოფის, რესპუბლიკის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების ნიშნით.

(საქინფორმი).

## ნოდება დაიმსახურა

ქუთაისი. (საკ. კორ.). მეოთხე წელია, რაც ქალაქის მასწავლებლის სახლთან მოზარდ მაყურებელთა თვითმოქმედი კოლექტივი არსებობს. ამ ხნის მანძილზე თეატრმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ალ. ჩიქვინიძე ხელმძღვანელობს, ბევრი საინტერესო სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს.

გასული წლის ბოლოს თეატრმა მაღალ მხატვრულ დონეზე განახორციელა სპექტაკლების „სურამის ციხის", „ნაცარქექიას" და „კომბლეს" დადგმა, რისთვისაც მას მოზარდ მაყურებელთა სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა.

## მღერიან, ცეკვავენ

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რაიონული დათვალიერება.

წარმატებით გამოვიდნენ სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელი შ. ბიგვავა, ქორეოგრაფი რ. ბულია), ინგირის სასოფლო კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი პ. ხუბულავა, ქორეოგრაფი დ. ჯოჯუა) და მასწავლებლის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ვ. ჯორჯაძე, ქორეოგრაფი შ. ქვადუა).

კარგი შეფასება მიიღეს რუხის, კორცხელის სასოფლო კლუბების, ენგურქაღალდკომბინატის და დარჩელის საკოლმეურნეო კლუბების თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

აღსანიშნავია უხუცესი კოლმეურნეების ვ. როგავას, ა. როგავას, ც. მაქაცარიას და ლ. ლაგვილავას გამოსვლა.

ინდივიდუალური შესრულებიდან გამოირჩეოდნენ აგრეთვე მხცოვანი მომღერლები ი. გუნავა, ბ. ძიძიგური, ახალგაზრდები ქ. წიწავა, ზ. ქობულია, ლ. კოზმავა, ი. კოჩკინა და სხვები.

ბ. ალშიბაია.

## სახალხო თეატრის სცენაზე

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ორჯონიკიძის სახალხო თეატრი, რომლის რეჟისორია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ო. აბაშიძე. გასულ სეზონში სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ოთხი დადგმა. მესხეთის რაიონებში მოეწყო აგრეთვე საგასტროლო მოგზაურობა, რომელიც მიეძღვნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადებას.

თეატრში მონდომებით მუშაობენ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. აბაშიძე, აგრეთვე მ. ტაბატაძე, პ. გიორგაძე, ქ. გაჩეჩილაძე, თ. გაჩეჩილაძე და სხვები.

# საინტერესო სიახლენი

ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხანაში, პირველად საბჭოთა კავშირში, აითვისეს მძლავრი მტვერსასრუტების გამოშვება, რომლებიც დიდი შენობებისათვის არის განკუთვნილი. ჩვენი მრეწველობის მიერ დღემდე გამოშვებული ყველა მტვერსასრუტი გათვალისწინებული იყო მხოლოდ საცხოვრებელი ბინებისათვის.

ბათუმში დამზადებულმა საცდელმა მტვერსასრუტებმა წარმატებით გაიარა გამოცდა. სულ მალე ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხანაში მათი სერიული გამოშვება დაიწყება.

მტვერსასრუტი, რომელსაც „აჭარა" უწოდეს, მოხერხებულია ექსპლოატაციაში, მსუბუქია, სპეციალური თვლების მეშვეობით ადვილად მოძრაობს იატაკზე, კომპლექტში შემავალი ექვსი ჯაგრისი შენობის დალაგებისას ყველა სახის სამუშაოს შესრულების საშუალებას იძლევა.

ახლახან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მოხმარების საუკეთესო წარმოებების საქონლის საკავშირო მუდმივი პავილიონის საექსპერტო კომისიამ მასობრივი გამოშვებისათვის მიიღო ამავე ქარხნის მიერ დამზადებული სარეცხი მანქანა „თოლია".

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. მეძველია ამოწმებს ახალ მტვერსასრუტ „აჭარას". მარჯვნივ — სარეცხი მანქანები „თოლია" მზად არის გასაგზავნად.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).





# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას—მესამე პრემია

„პრავდის", „იზვესტიის" გამომცემლობებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გაზეთების „პრავდისა" და „იზვესტიის" საუკეთესო ბეჭდვისათვის 1965 წლის მეოთხე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კოლექტივს (დირექტორი გ. ვარდოსანიძე) მიენიჭა მესამე ადგილი და მესამე ფულადი პრემია.

გაზეთების გამოშვებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საროტაციო საამქროს მბეჭდავებმა გ. კაზაროვმა, ა. რევაზიშვილმა, ზ. ლალიძემ, ნ. სალიაშვილმა, ამავე საამქროს უფროსმა თ. გუგუშვილმა. სტერეოტიპის განყოფილების ბრიგადირმა თ. ზარიძემ, სტერეოტიპიორებმა თ. კანდელაკმა, ი. ჯახაშვილმა, ი. აკოფოვმა, „პრავდისა" და „იზვესტიის" გამომცემლობათა წარმომადგენლებმა ს. გეგელოვმა და ა. ბოჟაძემ.

„პრავდა" და „იზვესტია" ერთადერთი ცენტრალური გაზეთები როდია, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში იბეჭდება. აქ იბეჭდება აგრეთვე გაზეთები „სელსკაია ჟიზნ", „კომსომოლსკაია პრავდა". (საქინფორმი).

# საქართველოს მთებზე...

◆

## ა. ს. პუშკინის ავტოგრაფი

ლენინგრადი, (საქინფორმის კორ.). ლიტერატურათმცოდნეებმა იცოდნენ, რომ არსებობდა ა. ს. პუშკინის ლირიკული ლექსის „საღამოს ბინდი საქართველოს მთებზე დაეშვა" სამი ავტოგრაფი. ახლა ცნობილი გახდა მეოთხე ავტოგრაფი. ამ ავტოგრაფის ორიგინალი პარიზში აქვს დაცული ა. ი. პოლონსკის, რომელმაც ლენინგრადში გამოგზავნა ტექსტის ფოტოსურათი.

აკადემიკოსი მ. პ. ალექსეევი, რომელმაც ავტოგრაფი შეისწავლა, ვარაუდობს, რომ ტექსტი პოეტს დაუწერია მანამდე, სანამ ლექსს საბოლოოდ გადაამუშავებდა. ახალ ავტოგრაფში წინათ შესწავლილ ტექსტებთან შედარებით არ არის დიდი სხვაობა, გარდა სტროფისა „დამცინავდებიან ვარსკვლავები", რომელიც შემდგომ შეუცვლია საყოველთაოდ ცნობილი სტროფით „ჩემს წინ არაგვი მიბორგავს ქშუილით". მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ ტექსტს შეუძლია ამოხსნას პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტი.

## შემთხვევა ცირკში

ეს მოხდა კემეროვოს სახელმწიფო ცირკში დღის წარმოდგენის დროს. გამოდიოდა ცნობილი საბჭოთა მწვრთნელი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ბ. ედერი თავისი ორიგინალური ატრაქციონით — „ლომები და მხედარი".

გამოცდილმა ოსტატმა დაწყებისთანავე ყურადღება მიაქცია ლომი ზიამის საეჭვო ქცევას. მხეცი დაიძაბა, ყურები დაჭიმა და მოემზადა თავს დასხმოდა ახალგაზრდა მომთვინიერებელს — ბორის ედერის ქალიშვილს — ვალენტინას. კიდევ ერთი წამი და ნახტომი შეიძლება საბედისწერო ყოფილიყო.

გამოცდილმა მწვრთნელმა გადაწყვიტა თვითონ დახვედროდა წინ მხეცს. მხეცთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა 72 წლის მწვრთნელმა. მას ცეცხლსასროლი იარაღიც არ უხმარია და ისე გათავისუფლდა ძლიერი მხეცის ბრჭყალებისაგან და სხვა მომთვინიერებლებთან ერთად აიძულა იგი განეგრძო გამოსვლა. ბ. ედერს მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი ჰქონდა.

კემეროვო.

სპორტი უცხოეთში

# სახიფათო გასამრჯელო

საავტომობილო რბოლებს, რომლებიც ერთობ პოპულარულია დასავლეთში, კოლოსალური შემოსავალი მოაქვს კაპიტალისტებისათვის. ახლა საავტომობილო ფირმების მეპატრონეებმა მძაფრი სანახაობების მოყვარული მაყურებლებისაგან ფულის გამოძალვის ახალი ხერხი გამონახეს: ეს არის ქალების საავტომობილო რბოლის ორგანიზაცია.

ავტომრბოლ ქალთა შორის უკვე გამოჩნდნენ პირველი ვარსკვლავები. მაგალითად, მარლენ პარკერი ინგლისის ქალაქ ბრისტოლიდან. ეს ოცდაორი წლის ქალიშვილი, მას თქვენ სურათზე ხედავთ, ადრე ტაქსის შოფერი იყო. ქალთა საავტომობილო და სამოტოციკლო რბოლების ირგვლივ გამოწვეულმა აჟიოტაჟმა ისიც აიყოლია. მ. პარკერის გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ რბოლის ტრასაზე იგი შეძლებს გაცილებით მეტი გასამრჯელოს მიღებას, ვიდრე ტაქსის საჭესთან ჯდომისას.

„მე მზად ვარ წავიდე ყოველგვარ რისკზე, რათა დავაგროვო ფული და ნამდვილი კარიერა გავიკეთო", — განაცხადა მარლენმა და თავისი სამსახური შესთავაზა ფირმას, რომელიც მანქანებსა და მოტოციკლებს აკეთებს. მ. პარკერმა ფირმის მესვეურებს აღუთქვა, რომ სიჩქარის მხრივ ქალთა რეკორდს დაამყარებს — 200 კილომეტრი საათში. აღსანიშნავია, რომ ეს რეკორდი მან უნდა დაამყაროს ყურთულეს ტრასაზე მონციში, სადაც არაერთი გამოცდილი მამაკაცი-მრბოლი დასახიჩრდა და დაიღუპა.

აი რა განაცხადა კიდევ ერთმა ინგლისელმა ჯაკი ბონდმა, რომელიც რეკლამისა და ფულის გამო მზად არის კაცებს შეეჯიბროს.

„ჩემი მიზანია მივაღწიო ქალთა მთლიან ემანსიპაციას ავტოდრომზე. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა დავღვაროთ საკუთარი სისხლი, თუ ეს საჭიროა, და დავიღუპოთ ჩვენს ქმრებზე უკეთესად". თუ ეს საჭიროა... მაგრამ საჭიროა კი? და-[illegible]სალა დასძენს:

„ამ ახალგაზრდა, მშვენიერ ქალიშვილებს სახიფათო გატაცება აქვთ". განა უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ: სახიფათო გასამრჯელო?..



# კ. ბაბუნაშვილი

გარდაიცვალა სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორი კოტე (კონდრატე) იოსების-ძე ბაბუნაშვილი.



კ. ბაბუნაშვილი დაიბადა 1908 წელს. 1932 წელს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობდა ჯერ რიონჰესში, შემდეგ ხრამჰესში. 1937 წლიდან 1939 წლამდე მუშაობს ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობაზე ელექტროსამონტაჟო სამუშაოების მწარმოებლად, ხოლო მშენებლობის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ამ ჰიდროელექტროსადგურის დირექტორის მოადგილედ და მთავარ ინჟინრად.

1943 წელს კ. ბაბუნაშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროში გადაიყვანეს, სადაც ოცი წელი იმუშავა. იყო კოლეგიის წევრი, მთავარი კონტროლიორი და სამრეწველო განყოფილების უფროსი.

1963 წლიდან კ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ სპეციალურ სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება.

გულისხმიერი ადამიანი, შრომისმოყვარე, თავმდაბალი, ამხანაგებისა და მეგობრების მოსიყვარულე და ერთგული — ასეთი იყო და ასეთი დარჩება კოტე ბაბუნაშვილი მისი მახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

## „საქართველოს აგიტატორი" № 3

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალის „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მესამე ნომერი.

# დისერტაციების დაცვა

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 თებერვალს, დღის 12 საათზე, № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ., 8) იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თამარ დიმიტრის ასული ცაგურია დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშავების ან სიკვდილისათვის".

23 თებერვალს დღის 2 საათზე სააქტო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად პროკოფი ივანეს-ძე ჯანელიძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის ფაქტორები".

23 თებერვალს დღის 12 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კუკური დავითის-ძე დანელია დაიცავს დისერტაციას თემაზე: „იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა".

23 თებერვალს დღის 2 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მედეა ელიზბარის ასული ქურდიანი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ცვლილებები თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკურ შემადგენლობაში".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

## ტელევიზია

### 12 თებერვალი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ეკრანი", 17.20 — მოსწავლეთათვის — „საინტერესო შეხვედრების კლუბი", 18.00 — კინონარკვევი, 18.20 — „ქართველი მომღერლები" — ნუცა მიქელაძე. 19.00 — „კინემოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.55 — კინონარკვევი, 20.15 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა", 21.05 — მხატვრული ფილმი, 22.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 13 თებერვლისათვის, 23.00 — „მსახიობი და როლი" — მიხეილ ულიანოვი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 17.45-01.00 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

### 13 თებერვალი

10.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 11.40 — გადაცემები მოსწავლეთათვის, კონცერტი, 11.55 — მხატვრული ფილმი „ქაჯანა". 13.00 — „[illegible]" (გადმოცემა პოლონეთიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინოჟურნალი, 17.40 — კონცერტი „მეგობრობის გზები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.20 — კინონარკვევი, 18.40 — დია ჩიანელი — დავით ჩხეიძე (დაბადების 75 წლისთავის გამო), 18.55 — კინონარკვევი, 19.25 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „[illegible]", 20.10 — მხატვრული ფილმი „შავი ხავერდი", 21.25 — გადაცემათა პროგრამა 14 თებერვლისათვის, 21.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი — 66" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 11.00-01.00 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

ნუ ვცეკვით, ნუ ვუვლიცვით

## თეატრები

### 12 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მოსკოვის მუსიკ-ჰოლის გასტროლები. რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — მეტეხის ჩრდილში. რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ვახშმობის წინ. მარჯანიშვილის სახელობის — კახაბერის ხმალი. გრიბოედოვის სახელობის — ბატის ფრთა. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სტუდენტები. სანკულტურის — პროფესორის სასიძოები. კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9 98 03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9 72 80, სამდივნოსი — 9 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 9 87 61, პროპაგანდის — 3 22 98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16 90, უცხოეთის — 8-15 68, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8 28 54, განცხადებების — 8-98 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 01446 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.